საქართველოს კანონი

დაგროვებითი პენსიის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებული ურთიერთობები ხორციელდება სახელმწიფო პენსიითა და სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფისაგან დამოუკიდებლად.

3. ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში საპენსიო აქტივების მართვა მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად.

4. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) დამსაქმებლებზე;

ბ) საქართველოს მოქალაქეებზე;

გ) საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე;

დ) აქტივების მმართველი კომპანიების, სპეციალიზებული დეპოზიტარების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა პირების მიერ განხორციელებულ, დაგროვებით საპენსიო სქემასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აფილირებული პირი – ნებისმიერი პირისთვის:

ა.ა) წილობრივი მონაწილეობის 10 პროცენტზე მეტის ხმის უფლების მფლობელი ან წილობრივი მონაწილეობის 10 პროცენტზე ნაკლების მფლობელი, რომელსაც ამ პირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია;

ა.ბ) ნებისმიერი სხვა იურიდიული პირი, რომლის ხმის უფლების მქონე წილის 25 პროცენტზე მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი ამავე დროს პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ამ პირის ხმის უფლების მქონე წილის 25 პროცენტზე მეტს;

ა.გ) საინვესტიციო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიმღები პირი ან სამეთვალყურეო ორგანოს ნებისმიერი წევრი;

ბ) აქტივების მმართველი კომპანია – აქტივების მართვის მიზნით ეროვნული ბანკის ან სხვა სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული ნდობითი ვალდებულების მქონე იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საპენსიო აქტივების მართვას, ან იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლის წევრი სახელმწიფოც არის საქართველო, აქტივების მართვის მიზნით ან/და საინვესტიციო რჩევების გაცემის მიზნით შექმნილი ან დაფუძნებული პირი, რომელიც ცალკეული ქვეყნების შესაბამისი მარეგულირებლების მიერ ლიცენზირებას არ ექვემდებარება;

გ) აქტივების განთავსების სტრატეგია – საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც მოიცავს საინვესტიციო პორტფელში სხვადასხვა კლასის აქტივების განთავსების იმ მიზნობრივ მაჩვენებლებს, მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის საფუძველს და მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის დაშვებულ ნორმებს, რომლებიც დამოკიდებულია საპენსიო ფონდის ან/და აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) რისკის მიმართ ტოლერანტობაზე, საინვესტიციო პერიოდსა და საინვესტიციო მიზნებზე და რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული პარამეტრების ცვლილების შესაბამისად;

დ) დაგროვებითი საპენსიო სქემა – განსაზღვრული საპენსიო შენატანების საპენსიო სქემა, რომელშიც მონაწილის სასარგებლოდ განსახორციელებელი საპენსიო შენატანები გამოითვლება ამ კანონის შესაბამისად დადგენილი წესით და აისახება მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, მიღებული სარგებელი გამოითვლება მხოლოდ განხორციელებული საპენსიო შენატანებისა და ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დარიცხული შემოსავლის, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგისა და სხვა შემოსავლის (მისი არსებობის შემთხვევაში) ასახვის შედეგად, ხოლო პენსია/საპენსიო აქტივები გაიცემა ამ კანონის შესაბამისად;

ე) დამსაქმებელი – პირი (გარდა არარეზიდენტი პირისა), რომელიც ანაზღაურებს დასაქმებულის მიერ შესრულებულ სამუშაოს ან/და გაწეულ მომსახურებას;

ვ) დასაქმებული – ფიზიკური პირი, რომელიც:

ვ.ა) ვალდებულებებს ასრულებს იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით ან/და საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს შრომის კანონმდებლობით რეგულირდება;

ვ.ბ) ასრულებს საქართველოს თავდაცვის ძალებში, სამართალდამცავ ორგანოებსა და მათთან გათანაბრებულ ორგანოებში მის სამსახურთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

ვ.გ) არის საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი (დირექტორი) ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შემსრულებელი;

ვ.დ) დასაქმებულია საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ზ) ერთიანი გადახდა – ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი სრული ღირებულების ერთიანად გადახდა;

ზ[1]) საპენსიო ფონდი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საპენსიო ფონდი;

თ) ეროვნული ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკი;

ი) თვითდასაქმებული – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად, აგრეთვე დასაქმებული, რომლის დამსაქმებელს არ ევალება ხელფასიდან (გადახდის წყაროსთან) საშემოსავლო გადასახადის დაკავება, მანამ, სანამ ის იღებს თვითდასაქმებულის შემოსავალს;

კ) თვითდასაქმებულის შემოსავალი:

კ.ა) ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი;

კ.ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირის შემთხვევაში – საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი

შემოსავალი;

კ.გ) იმ დასაქმებულის შემთხვევაში, რომლის დამსაქმებელს არ ევალება ხელფასიდან (გადახდის წყაროსთან) საშემოსავლო გადასახადის დაკავება, – საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ხელფასი;

ლ) ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში – საპენსიო ფონდის მიერ მონაწილისთვის შექმნილი აღრიცხვის ფორმა, რომელიც ასახავს მის სასარგებლოდ განხორციელებულ საპენსიო შენატანებს, მონაწილის საკუთრებაში არსებული პორტფელის ერთეულების შესახებ ინფორმაციას, საპენსიო აქტივების მართვის შედეგებს, ამ კანონის შესაბამისად გატანილ თანხებს და მათთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს;

მ) მონაწილე – დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებული დასაქმებული ან თვითდასაქმებული;

ნ) ნდობითი ვალდებულების მქონე პირი – ამ კანონის მე-14 მუხლით განსაზღვრული პირი;

ო) პენსია – მონაწილის დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად ამ კანონის 32-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად მიღებული/მისაღები, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახული თანხა, რომლის დაანგარიშება, დანიშვნა და მონაწილისთვის გადახდა ხდება ამ კანონითა და საპენსიო ფონდის მიერ ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

პ) პროგრამული გატანა – ამ კანონის შესაბამისად ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან პენსიის პერიოდული გატანა;

ჟ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი – საპენსიო ფონდის საინვესტიციო კომიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო სტრატეგიასა და პრინციპებს და რომლითაც ხელმძღვანელობს შესაბამისად საპენსიო ფონდი ან ამ კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანია მონაწილეთა საპენსიო აქტივების მართვასა და ინვესტირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;

რ) საპენსიო ასაკი – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასაკი;

ს) საპენსიო აქტივები – ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული ყველა აქტივის ერთობლიობა. საპენსიო აქტივებზე არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

ტ) საპენსიო შენატანი – მონაწილის სახელითა და ხარჯით, მის სასარგებლოდ, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახვის მიზნით, ამ კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით გადახდილი თანხა;

უ) (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

ფ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი – საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი;

ქ) სახელმწიფო ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;

ღ) (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

ყ) ელექტრონული სისტემა – საინფორმაციო ტექნოლოგიით უზრუნველყოფილი საპენსიო ფონდის საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა და შესაბამისი მონაცემების ბაზა;

შ) სპეციალიზებული დეპოზიტარი – ეროვნული ბანკის ან სხვა სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული ნდობითი ვალდებულების მქონე იურიდიული პირი ან ამ პირის ფილიალი, რომელიც საპენსიო ფონდს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებით, აგრეთვე ამ კანონის 26-ე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – ეროვნული ბანკი;

ჩ) საინვესტიციო ჰორიზონტი – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც აქტივების განთავსების სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრული რისკის მიმართ ტოლერანტობისა და სასურველი საინვესტიციო შემოსავლის გათვალისწინებით საპენსიო ფონდი ან/და აქტივების მმართველი კომპანია ინვესტიციის კონკრეტული კლასის აქტივებში ან საინვესტიციო პორტფელში განთავსებას გეგმავს;

ც) საინვესტიციო პორტფელი – საინვესტიციო ინსტრუმენტების ერთობლიობა, რომელშიც ინსტრუმენტების კომპოზიცია დამოკიდებულია საინვესტიციო პერიოდზე, საინვესტიციო მიზნებსა და რისკის მიმართ ტოლერანტობაზე;

ძ) სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმი – საპენსიო ფონდის ადმინისტრირების დროებითი რეჟიმი, რომელიც იწყება ამ კანონის შესაბამისად და რომლის მიზანია ეროვნული ბანკის მიერ საპენსიო ფონდის საქმიანობის განგრძობადობის უზრუნველყოფა;

წ) საინვესტიციო ფონდის ერთეული – ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არის აქცია/წილი საინვესტიციო კომპანიაში ან პაი ერთობლივ საინვესტიციო ფონდში;

ჭ) შემოსავლების სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ხ) შესაძლებლობის შეზღუდვა – „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მდგომარეობა, რომელიც დასტურდება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის უფლების მქონე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერით და რომელიც განაპირობებს ზომიერად, მნიშვნელოვნად ან მკვეთრად გამოხატულ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსს;

ჯ) შესარჩევი კომისია – კომისია, რომელიც შეარჩევს მმართველობითი საბჭოს წევრობის კანდიდატებს;

ჰ) ხელფასი – შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი, რომელიც იბეგრება გადახდის წყაროსთან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის 2^1 ნაწილით გათვალისწინებული შემოსავლისა და იმ შემოსავლისა, რომელიც იმავე კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, აგრეთვე როიალტით, ქირით, იჯარით მიღებული და საინვესტიციო შემოსავლებისა);

ჰ^1) წლიური ხელფასი/წლიური შემოსავალი – მონაწილისთვის – ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული ხელფასი/თვითდასაქმებულის შემოსავალი, დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებული ახალი მონაწილისთვის – გაწევრებიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული ხელფასი/თვითდასაქმებულის შემოსავალი;

ჰ^2) (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

ჰ^3) რისკების მართვა – საპენსიო ფონდის სტრუქტურული ერთეულებისა და მმართველობის ორგანოს კოორდინირებული ქმედებების ერთობლიობა, რომლითაც საპენსიო ფონდი რისკის მართვას ახორციელებს;

ჰ^4) (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

ჰ^5) (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

ჰ^6) (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

ჰ^7) (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

ჰ^8) პენსიის მიმღები – პირი, რომელიც იყო მონაწილე და რომელიც ამ კანონითა და საპენსიო ფონდის

მიერ დადგენილი წესით იღებს პენსიას/საპენსიო აქტივებს;

ჰ[9]) პორტფელის ერთეული – ამ კანონით განსაზღვრულ საინვესტიციო პორტფელში წილის ფლობის დამადასტურებელი ერთეული;

ჰ[10]) საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის განმახორციელებელი საინვესტიციო ფონდი – საინვესტიციო ფონდი, რომლის ერთეულებით ვაჭრობა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე და რომელიც წინასწარ დადგენილი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად აახლებს ფინანსურ ინდექსებს;

ჰ[11]) საინვესტიციო ფონდი – „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საინვესტიციო ფონდი, მათ შორის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის განმახორციელებელი საინვესტიციო ფონდი;

[ჰ[12]) მიუღებელი სარგებელი – დამსაქმებლის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევისთვის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან/და საპენსიო შენატანის განსახორციელებლად ამ კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულებისთვის) მის მიერ მონაწილისთვის/პენსიის მიმღებისთვის შესაბამის საპენსიო შენატანთან ერთად გადასახდელი, ამ კანონის 37[4] მუხლით გათვალისწინებული თანხა, რომელიც ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო აქტივების სახით აისახება. ***(ამოქმედდეს 2026 წლის 15 ოქტომბრიდან)]***

საქართველოს 2021 წლის 2 აგვისტოს კანონი №895 – ვებგვერდი, 04.08.2021წ.
საქართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის კანონი №3531 – ვებგვერდი, 12.10.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

თავი II. დაგროვებითი საპენსიო სისტემა

მუხლი 3. დაგროვებითი საპენსიო სქემა

1. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

2. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება და საპენსიო შენატანის განხორციელება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, ამ კანონის 21-ე მუხლის ამოქმედების შემდეგ ყოველი ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (მამაკაცის შემთხვევაში) ან 55 წელი (ქალის შემთხვევაში).

3. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება ნებაყოფლობითია ყველა დასაქმებულისთვის, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (მამაკაცის შემთხვევაში) ან 55 წელი (ქალის შემთხვევაში), ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, და თვითდასაქმებულისთვის, თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში. დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრებული მონაწილის სახელით და მის სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განხორციელება სავალდებულოა დასაქმებულის მიერ ყოველი ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში ან თვითდასაქმებულის მიერ თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში.

4. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებული დასაქმებულის საპენსიო შენატანებს აფინანსებენ დამსაქმებელი, დასაქმებული და სახელმწიფო ამ კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით, ხოლო დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებული თვითდასაქმებულის საპენსიო შენატანებს – თვითდასაქმებული და სახელმწიფო ამ კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

5. დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი და რომელსაც არ სურს იყოს მონაწილე, უფლებამოსილია, ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან.

6. მონაწილის საპენსიო შენატანები ფინანსდება შემდეგნაირად:

ა) დამსაქმებელი არაუგვიანეს საშემოსავლო დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით წარდგენის დღისა, საკუთარი ხარჯით, დასაქმებულის სასარგებლოდ, საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრული წესით საპენსიო ფონდის შესაბამის ანგარიშზე რიცხავს საპენსიო შენატანის თანხას დასაქმებულისთვის საანგარიშო პერიოდში გაცემული დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით და შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის საფუძველზე ახორციელებს საპენსიო შენატანს;

ბ) დამსაქმებელი არაუგვიანეს საშემოსავლო დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენის დღისა, დასაქმებულის სახელითა და ხარჯით, საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრული წესით საპენსიო ფონდის შესაბამის ანგარიშზე რიცხავს საპენსიო შენატანის თანხას დასაქმებულისთვის საანგარიშო პერიოდში გაცემული დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით და შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის საფუძველზე ახორციელებს საპენსიო შენატანს;

გ) სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციები, როგორც დამსაქმებლები, საპენსიო შენატანებს ახორციელებენ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ოდენობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სახაზინო სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერით, საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით;

დ) თვითდასაქმებული საშემოსავლო დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენის დღეს, საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრული წესით საპენსიო ფონდის შესაბამის ანგარიშზე რიცხავს საპენსიო შენატანის თანხას საანგარიშო პერიოდში მიღებული თვითდასაქმებულის შემოსავლის 4 პროცენტის ოდენობით და შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის საფუძველზე ახორციელებს საპენსიო შენატანს;

ე) სახელმწიფო მონაწილის სასარგებლოდ, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ახორციელებს საპენსიო შენატანს:

ე.ა) შესაბამისი კალენდარული წლის ჭრილში წლიური ხელფასის/წლიური შემოსავლის პირველი 24 000 ლარის ფარგლებში – დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის 2 პროცენტის ოდენობით;

ე.ბ) შესაბამისი კალენდარული წლის ჭრილში წლიური ხელფასის/წლიური შემოსავლის მიერ ამ პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობის გადაჭარბების შემდეგ – აღნიშნული ოდენობიდან 60 000 ლარის ჩათვლით დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით;

ვ) სახელმწიფო არ ახორციელებს საპენსიო შენატანს შესაბამისი კალენდარული წლის ჭრილში 60 000 ლარის ზემოთ დასაქმებულის დასაბეგრ ხელფასზე ან/და თვითდასაქმებულის შემოსავალზე.

7. ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო შენატანები ხორციელდება, აგრეთვე დამსაქმებლებსა და დასაქმებულებთან/მონაწილეებთან ანგარიშსწორება (მათ შორის, პენსიის/საპენსიო აქტივების საპენსიო ფონდის მიერ გადაცემა/გადახდა/დაბრუნება) ხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

8. საპენსიო ფონდის მიერ საპენსიო შენატანების აკუმულირებისთვის გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე მიღებული თანხა, რომლის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული დამსაქმებლისთვის მიკუთვნება ვერ ხერხდება, მისი მიღების თარიღიდან 10 წლის გასვლის დღეს გახდება არსებული მონაწილეების/პენსიის მიმღებების საპენსიო აქტივების ნაწილი, რის შემდეგაც ამ თანხის გადარიცხვის განმახორციელებელ პირს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მისი დაბრუნება ან/და საპენსიო ფონდს წარუდგინოს რაიმე მოთხოვნა, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების შესახებ. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია უზრუნველყოს საპენსიო შენატანების აკუმულირებისთვის გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებულ თანხებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა. ეს სარგებელი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესითა და პერიოდულობით ხდება არსებული მონაწილეების/პენსიის მიმღებების საპენსიო აქტივების ნაწილი.

9. დასაქმებული ვალდებულია დაგროვებით საპენსიო სქემაში ამ კანონის შესაბამისად ნებაყოფლობით ან/და ხელახლა გაწევრებისთვის მიმართოს საპენსიო ფონდს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4313 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

თავი III. საპენსიო ფონდი

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 4. საპენსიო ფონდის შექმნა

1. საპენსიო ფონდი არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებისთვის, მართვისა და ადმინისტრირებისთვის.

2. საპენსიო ფონდის საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობა ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებით შემოიფარგლება.

3. საპენსიო ფონდი თავის საქმიანობას დამოუკიდებლად, ამ კანონის, საპენსიო ფონდის დებულებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად ახორციელებს.

4. საპენსიო ფონდის სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება საპენსიო ფონდის დებულებით.

5. საპენსიო ფონდის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საპენსიო ფონდზე არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვები და მოთხოვნები.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 5. დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირება

1. საპენსიო ფონდი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს მონაწილეების დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების ტექნიკურ მხარდაჭერას, აღრიცხავს მონაწილეებს, პენსიის მიმღებებსა და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასულ პირებს, ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საპენსიო შენატანების ადმინისტრირებას და მონაწილეებს უქმნის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებს.

2. საპენსიო შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებები სრულდება შემოსავლების სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერით და ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურისა და საპენსიო ფონდის ერთობლივი ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

3. საპენსიო ფონდი ახორციელებს ელექტრონული სისტემის მართვასა და ადმინისტრირებას, მათ შორის, მესამე პირების მეშვეობით. ეფექტიანი ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ასეთ მესამე პირებს ელექტრონული სერვისის საშუალებით, თავის მიერ დადგენილი წესით მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები.

4. საპენსიო ფონდი დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის სახელით/სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განუხორციელებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებთან მიმართებით, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის არ არის კრედიტორი. მონაწილის სახელით/სასარგებლოდ განსახორციელებელ საპენსიო შენატანებთან მიმართებით, აგრეთვე, ამ კანონიდან გამომდინარე, დამსაქმებლისადმი მონაწილის მოთხოვნებთან მიმართებით კრედიტორი (კრედიტორები) არის (არიან) შესაბამისი მონაწილე (მონაწილეები) ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე (მემკვიდრეები). „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეაბილიტაციის მმართველის ან/და გაკოტრების მმართველის მიმართვის შემთხვევაში, აგრეთვე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიკვიდატორის მიმართვის შემთხვევაში საპენსიო ფონდი ვალდებულია აღნიშნულ პირს

(პირებს) მიაწოდოს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია სათანადო დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შესახებ, აგრეთვე შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზებში არსებულ ინფორმაციასთან შედარების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

5. საპენსიო ფონდი მონაწილის შესახებ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 6. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა

1. შემოსავლების სამსახური საპენსიო ფონდის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად მას შემოსავლების სამსახურისა და საპენსიო ფონდის ერთობლივი ნორმატიული აქტით დადგენილი წესით უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციით. საპენსიო ფონდი ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციასთან შედარების შედეგად ან/და ამ მუხლის მე-12 პუნქტის გათვალისწინებით ახდენს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირებას, აგრეთვე ავლენს საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტს.

2. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ნებისმიერ პირს, მათ შორის, დამსაქმებელს, მონაწილეს, პენსიის მიმღებს, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეს, მოსთხოვოს ან/და ნებისმიერი პირისგან მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საპენსიო შენატანის ან/და ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ან/და მათი კორექტირების შესახებ და ეს ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტით ან/და 3^1 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს. ამასთანავე, საპენსიო ფონდს უფლება აქვს, ნებისმიერ პირს მოსთხოვოს მისთვის შეცდომით გადახდილი ნებისმიერი თანხის საპენსიო ფონდისთვის დაბრუნება და ამ თანხის დასაბრუნებლად განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში დამსაქმებელს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება საურავი საპენსიო შენატანის იმ ოდენობაზე, რომელიც არ განხორციელებულა ან შესაბამისი ვადის დარღვევით განხორციელდა, საპენსიო შენატანის განხორციელების ვადის მომდევნო დღიდან, თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის არსებული, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისთვის დამატებული 5 პროცენტის ოდენობით. საურავი დაირიცხება საპენსიო შენატანის განხორციელების ვადის მომდევნო თარიღიდან და გრძელდება დამსაქმებლის მიერ ამ საპენსიო შენატანის სრულად განხორციელებამდე. დამსაქმებელს ამ პუნქტით გათვალისწინებული საურავი დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმისგან დამოუკიდებლად, საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

3^1. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში დამსაქმებელს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი საშემოსავლო დეკლარაციის შესწორების/დაზუსტების შედეგად დამსაქმებელი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით განახორციელებს შესაბამის საპენსიო შენატანს/შენატანებს. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელს დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ჯარიმა, თუ საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით არ განახორციელებს საპენსიო შენატანს.

3^2. ამ მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების შესაბამისად დამსაქმებლისთვის საურავის ან/და ჯარიმის დაკისრება მას არ ათავისუფლებს ამ კანონის თანახმად საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულებისგან. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შესაბამისი საპენსიო შენატანი საკუთარი ხარჯით (დასაქმებულის ხელფასიდან გამოქვითვის გარეშე) განახორციელოს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საპენსიო ფონდი უფლებამოსილია დამსაქმებელს მოსთხოვოს საპენსიო შენატანის ზედმეტობის გასწორება საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით. თუ დამსაქმებელი საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გაასწორებს საპენსიო შენატანის ზედმეტობას, საპენსიო ფონდმა თავად უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ზედმეტობის გასასწორებლად.

5. ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო მე-3 პუნქტით განსაზღვრული საპენსიო შენატანის თანხა და საურავი საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით ირიცხება მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე.

6. ამ კანონით გათვალისწინებული ჯარიმა, საპენსიო შენატანი და საურავი იძულებით აღსასრულებლად მიექცევა საპენსიო ფონდის ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და მის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

7. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ფარგლებში ელექტრონულად, თავის მიერ დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, აგრეთვე თავის მიერვე დადგენილი წესით განსაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ დგება.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნით შესაბამის პირებთან კომუნიკაციის, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ნებისმიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისი პირისთვის ჩაბარების/გაცნობის, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით ჩაბარების/გაცნობის, წესსა და პირობებს ადგენს საპენსიო ფონდი.

9. საპენსიო ფონდი ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს და ამტკიცებს დამსაქმებლების, მათ შორის, სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების, მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის ფაქტის იდენტიფიცირებისა და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის გამოვლენის, ჯარიმის ან/და საურავის დაკისრებისა და აღსრულების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების წესებსა და პროცედურებს და აღნიშნული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ფორმებს.

10. ამ მუხლით განსაზღვრული რეგულირება საპენსიო ფონდის მიერ გამოვლენილ ზედმეტად განხორციელებულ საპენსიო შენატანსა და შეცდომით გადახდილ თანხასთან დაკავშირებით არ ვრცელდება იმ პირებზე, მათ შორის, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეებზე, რომლებმაც 2024 წლის 30 სექტემბრამდე კანონით დადგენილი წესით სრულად მიიღეს პენსია/საპენსიო აქტივები. შესაბამისად, საპენსიო ფონდი ამ პირებს არ მოსთხოვს საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების შედეგად მათთვის შეცდომით/ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას.

11. თუ ამ მუხლის შესაბამისად განხორციელებული შედარების შედეგად შესამოწმებელ 1-თვიან პერიოდში იდენტიფიცირებული შეუსაბამობა, რომელიც გულისხმობს განხორციელებულ და კანონის შესაბამისად განსახორციელებელ საპენსიო შენატანებს შორის სხვაობას, 1 ლარს არ აღემატება, ეს არ ჩაითვლება ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობად. თუ აღნიშნული შესამოწმებელი პერიოდი 1 თვეს აღემატება, მითითებული თანხა პროპორციულად განისაზღვრება.

12. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საპენსიო ფონდის მიერ მიღებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდება მისი შეუსაბამობა შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციასთან ან/და ელექტრონულ სისტემაში არსებულ

ინფორმაციასთან, საპენსიო ფონდი უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღებისას და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას იხელმძღვანელოს მის მიერ აღნიშნული შესწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციით/დოკუმენტაციით.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2025 წლის 26 ივნისის კანონი №832 – ვებგვერდი, 30.06.2025წ.

[მუხლი 6. (ამოღებულია) *(ამოქმედდეს 2026 წლის 15 ოქტომბრიდან)*]
საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 7. საპენსიო ფონდის უფლებები და მოვალეობები

1. საპენსიო ფონდი საპენსიო აქტივებს განკარგავს, როგორც ნდობითი ვალდებულების მქონე პირი, მონაწილეების, პენსიის მიმღებებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად.

2. საპენსიო ფონდის ფუნქციებია:

ა) დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვა და ადმინისტრირება, მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) საპენსიო აქტივების ინვესტირება ამ კანონისა და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის, კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპებისა და მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად;

გ) დავების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ ამ კანონის VI[2] თავით გათვალისწინებულ საკითხებზე და განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) ეროვნულ ბანკში, კომერციულ ბანკებში ან/და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში ანგარიშების გახსნა საპენსიო შენატანების აკუმულირების, საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ან/და ამ კანონით გათვალისწინებული ან/და მისგან გამომდინარე სხვა მიზნით და საპენსიო აქტივების (მათ შორის, საპენსიო ფონდის ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე არსებული ფულადი რესურსების) მართვა მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად;

ე) ელექტრონული სისტემის მართვა და ადმინისტრირება;

ვ) ხელშეკრულებების დადება, მათ შორის:

ვ.ა) აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან), სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და საინვესტიციო საქმიანობის ან ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ნებისმიერი მომსახურების ან/და საქონლის მიმწოდებელ პირებთან;

ვ.ბ) ბუღალტრული, აუდიტორული, იურიდიული, აქტუარული მომსახურებებისა და საპენსიო ფონდისთვის საჭირო სხვა მომსახურებების გამწევ პირებთან;

ვ.გ) საპენსიო ფონდის საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავი ქონების ან მოძრავი ქონების (მათ შორის, აღჭურვილობის ან პროგრამული უზრუნველყოფის) შეძენისა და განკარგვის თაობაზე;

ზ) აქტივების მმართველი კომპანიისთვის (კომპანიებისთვის), სპეციალიზებული დეპოზიტარისა და სხვა მომსახურებების გამწევი პირებისთვის საპენსიო ფონდის სახელით განხორციელებული ნებისმიერი გარიგების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება;

თ) საპენსიო ფონდის თანამშრომლებით დაკომპლექტება და კონკურენტუნარიანი შრომის ანაზღაურების პირობების შექმნა;

ი) საპენსიო შენატანებთან, საპენსიო აქტივებსა და პენსიის გაცემასთან დაკავშირებული, საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

კ) მონაწილეებისთვის, აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში – მონაწილეთა მემკვიდრეებისთვის პენსიისა და საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების გაცემის პროცესის ადმინისტრირება;

ლ) საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი პირის მიმართ ამ კანონითა და თავის მიერ დადგენილი წესით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

მ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით, გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საქმიანობის განხორციელება.

3. საპენსიო ფონდი ამტკიცებს სამართლებრივ აქტებს საპენსიო შენატანების გადახდის წესების, საპენსიო შენატანების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ფორმების განსაზღვრის, პენსიისა და საპენსიო აქტივების მოთხოვნის შესახებ განცხადების წარდგენის, პენსიისა და საპენსიო აქტივების დანიშვნისა და გაცემის, დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვისა და ადმინისტრირებისთვის აუცილებელი, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების, წესებისა და პროცედურების თაობაზე. საპენსიო ფონდის დებულებით განისაზღვრება ის უფლებამოსილი პირები, რომლებიც საპენსიო ფონდის სახელით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს და გასცემენ სააღსრულებო ფურცლებს.

4. საპენსიო ფონდის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის ეფექტიანად ადმინისტრირების მიზნით ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო ან/და პირი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საპენსიო ფონდი უზრუნველყოს მისი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაციით (მათ შორის, მონაწილის პერსონალური მონაცემებით) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 7[1]. (ამოღებულია)

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 8. საპენსიო ფონდის სპეციალური ფუნქციები

1. საპენსიო ფონდს აქვს სპეციალური ფუნქციები. სპეციალური ფუნქციების შემსრულებელმა პირებმა მათი ეფექტიანად შესრულება უნდა უზრუნველყონ ობიექტურობის, სამართლიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით. სპეციალური ფუნქციებია:

ა) საინვესტიციო ფუნქცია;

ბ) რისკის მართვის ფუნქცია;

გ) შიდა აუდიტის ფუნქცია.

2. ამ მუხლით განსაზღვრული სპეციალური ფუნქციები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა შესრულდეს.

3. სპეციალური ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულმა პირმა ნებისმიერი არსებითი ინფორმაცია და რეკომენდაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა წარუდგინოს მმართველობით საბჭოს, რომელიც განსაზღვრავს სათანადო და დროული ზომების მიღების აუცილებლობას. თუ მმართველობითი საბჭო სათანადო და დროულ ზომებს არ მიიღებს მაშინ, როდესაც სპეციალური ფუნქციის შემსრულებელმა პირმა გამოავლინა არსებითი რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მონაწილეთა ინტერესებს, ან როდესაც მნიშვნელოვნად და არსებითად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა, სპეციალური ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული პირი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აცნობოს ეროვნულ ბანკს ამის შესახებ. სპეციალური ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული პირის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი სათანადოდ დაცვა ეროვნული ბანკის მიერ

დადგენილი წესების შესაბამისად.

4. საინვესტიციო ფუნქცია არის სპეციალური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს საპენსიო აქტივების ინვესტირებას საინვესტიციო ჰორიზონტში მათი რეალური ამონაგების (ინფლაციის გათვალისწინებით) მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით. კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპებია:

ა) საპენსიო აქტივების ინვესტირების შედეგად გრძელვადიან პერიოდში მათი რეალური ამონაგების (ინფლაციის გათვალისწინებით) მაქსიმალურად გაზრდა;

ბ) ინვესტიციების დივერსიფიკაცია;

გ) გრძელვადიანი ინვესტირების პირობებში საპენსიო აქტივების უსაფრთხოება;

დ) ადეკვატური ლიკვიდურობის შენარჩუნება.

5. რისკის მართვის ფუნქცია არის სპეციალური ფუნქცია, რომელიც უნდა იყოს ეფექტიანი და სათანადოდ ინტეგრირებული საპენსიო ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთანავე, ეს ფუნქცია ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს რისკის მართვის სისტემის ფუნქციონირებას. ამ მიზნით საპენსიო ფონდი ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიებს, პროცესებსა და ანგარიშგების პროცედურებს, რომლებიც საჭიროა რისკების ინდივიდუალურ და აგრეგირებულ დონეებზე დასადგენად, შესაფასებლად, მონიტორინგისთვის, მართვისა და რეგულარული ანგარიშგებისთვის. რისკის მართვის ფუნქცია უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ რისკებს:

ა) აქტივებისა და ვალდებულებების მართვას;

ბ) ინვესტიციებს;

გ) ლიკვიდურობისა და კონცენტრაციის რისკების მართვას;

დ) საოპერაციო რისკების მართვას;

ე) რისკების შემცირების მეთოდებს.

6. შიდა აუდიტის ფუნქცია არის სპეციალური ფუნქცია, რომლითაც ფასდება საპენსიო ფონდის შიდა კონტროლის სისტემისა და მართვის სისტემის სხვა ელემენტების სათანადოობა და ეფექტიანობა, მათ შორის, აუთსორსინგული მომსახურების შემთხვევაში. შიდა აუდიტის ფუნქცია არის საპენსიო ფონდის სხვა საქმიანობებისგან დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს საპენსიო ფონდის მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 9. მმართველობითი საბჭო

1. მმართველობითი საბჭო არის საპენსიო ფონდის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება არანაკლებ 9 და არაუმეტეს 15 წევრისგან.

2. მმართველობითი საბჭო შედგება პროფესიონალი წევრებისა და თანამდებობრივი წევრებისგან. მმართველობით საბჭოში არაუმეტეს 10 წევრის არსებობის შემთხვევაში 1 წევრი თანამდებობრივი წევრია, ხოლო 10 წევრზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში შეიძლება იყოს 2 თანამდებობრივი წევრი. თანამდებობრივი წევრი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი.

3. ამ კანონის შესაბამისად მმართველობითი საბჭოს პროფესიონალ წევრებს ირჩევს შესარჩევი კომისია, რომელიც მათ დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. თუ მმართველობითი საბჭოს

პროფესიონალი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დროისთვის ახალი პროფესიონალი წევრი დანიშნული არ იქნება, მმართველობითი საბჭოს მოქმედი პროფესიონალი წევრი აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას ახალი პროფესიონალი წევრის დანიშვნამდე.

4. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კეთილსინდისიერი პირი, რომელსაც სულ მცირე აქვს ამ თანამდებობისთვის საჭირო განათლება და სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილება. მმართველობითი საბჭოს წევრების რაოდენობა, შესაბამის თანამდებობებზე ასარჩევ პირთა შერჩევის წესი და პროცედურა, მათი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დამატებითი კრიტერიუმები, აგრეთვე მათი შესაფერისობის სხვა მოთხოვნები, მათ შორის, მმართველობითი საბჭოს თანამდებობრივი წევრების დანიშვნის წესი და მათი შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობები და პოლიტიკა, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამ დადგენილებით გათვალისწინებული უნდა იყოს საპენსიო ფონდის საჭიროებები.

5. მმართველობითი საბჭოს წევრების უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ პროფესიონალი წევრები, რომლებსაც აქვთ ფინანსურ სექტორში ფინანსების, ინვესტიციების, ეკონომიკის, რისკების მართვის ან აქტუარული მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 10 წლის პროფესიული გამოცდილება ან ფინანსურ სექტორში რომელიმე ამ მიმართულებით დირექტორად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება. ამ პუნქტით განსაზღვრულ პროფესიონალ წევრთაგან 1 არ უნდა იყოს საინვესტიციო კომიტეტის ან რისკის კომიტეტის წევრი. შესარჩევი კომისია ამ პუნქტით განსაზღვრული მმართველობითი საბჭოს წევრის შესარჩევად აცხადებს კონკურსს შესაბამისი განცხადების როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე (მათ შორის, არანაკლებ 1 საერთაშორისო ფინანსურ გამოცემაში) გამოქვეყნებით.

6. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულის ჩადენისთვის, აგრეთვე პირი, რომლის ქმედებამ ფინანსური ინსტიტუტის გადახდისუუნარობა ან გაკოტრება გამოიწვია.

7. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრი ეროვნული ბანკის მიმართვის შემთხვევაში თანამდებობიდან თავისუფლდება ან მას უფლებამოსილება უწყდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

ა) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ბ) სასამართლომ იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა ან გარდაცვლილად გამოაცხადა;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) იგი თანამდებობიდან გადადგა ან გარდაიცვალა;

ე) მან თავისი ქმედებით ან უმოქმედობით დაარღვია კანონით დადგენილი მოთხოვნები ან/და არასათანადოდ განახორციელა კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები და არასათანადოდ შეასრულა კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამ ქვეპუნქტის საფუძველზე მმართველობითი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლება დასაბუთებული უნდა იყოს;

ვ) იგი ზედიზედ სამჯერ, საპენსიო ფონდის დებულებით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის გარეშე არ მონაწილეობდა მმართველობითი საბჭოს სხდომაში.

8. მმართველობითი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით თავის წევრთაგან ირჩევს მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს მმართველობითი საბჭოს თანამდებობრივი წევრი ან საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი. მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევისა და დანიშვნის დამატებითი წესები დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით.

9. მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევისას დაუშვებელია მმართველობითი საბჭოს წევრის მიერ ხმის საკუთარი თავისთვის მიცემა.

10. მმართველობითი საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს საპენსიო ფონდის დებულებასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ბ) განსაზღვრავს საპენსიო ფონდის საქმიანობის მიმართულებებს;

გ) უზრუნველყოფს საპენსიო ფონდის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით, საპენსიო ფონდის დებულებითა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ამ საქმიანობის ეფექტიანად, დროულად და საპენსიო ფონდის ეთიკის ნორმების დაცვით განხორციელებას;

დ) ამ კანონის შესაბამისად, ღია კონკურსით არჩევს და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით თანამდებობებზე ნიშნავს საპენსიო ფონდის აღმასრულებელ დირექტორებს, აგრეთვე ეროვნული ბანკისთვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელ დირექტორებს. მმართველობითი საბჭოს წევრი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს აღმასრულებელი დირექტორის შესარჩევ ღია კონკურსში. ამ შემთხვევაში აღნიშნული წევრი შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად აღმასრულებელი დირექტორის შერჩევისას მმართველობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობს;

ე) ამ კანონის შესაბამისად ქმნის საპენსიო ფონდის კომიტეტებს;

ვ) ამტკიცებს საპენსიო ფონდის დებულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს;

ზ) განიხილავს და ამტკიცებს სპეციალურ ფუნქციებთან დაკავშირებულ პოლიტიკის დოკუმენტებს;

თ) განიხილავს და ამტკიცებს საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილ საპენსიო ფონდის წლიურ ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხას;

ი) ადგენს ამ კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევის წესსა და კრიტერიუმებს, აქტივების მმართველი კომპანიებისთვის სამართავად გადასაცემი საპენსიო აქტივების მოცულობის/კლასის და მათი გადაცემის ვადების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და წესს (პროცედურებს);

კ) უფლებამოსილია რეკომენდაციების მისაღებად შექმნას და მოიწვიოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებისგან. საკონსულტაციო ჯგუფის წევრები არ შეადგენენ მმართველობითი საბჭოს ნაწილს. საკონსულტაციო ჯგუფის დაკომპლექტებისა და მის წევრთა მოწვევის წესები დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს მმართველობით საბჭოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება;

ლ) გარე აუდიტის განსახორციელებლად ნიშნავს აუდიტორულ ფირმას;

მ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საპენსიო ფონდის ინტერესთა კონფლიქტის მართვის ჩარჩოს, რომელიც სულ მცირე უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნებისა და აცილების მექანიზმებს/წესებს, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

ნ) ახორციელებს ამ კანონითა და საპენსიო ფონდის დებულებით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

11. მმართველობითი საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გამოსცემს ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს – დადგენილებებს და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – განკარგულებებს.

12. მმართველობითი საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს შესარჩევი კომისიის წევრთან, საპენსიო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან (გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც მმართველობითი საბჭოს ეს წევრი იმავდროულად აღმასრულებელი დირექტორია), საქართველოს მთავრობის წევრთან აფილირებული პირი, ან აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების), სპეციალიზებული დეპოზიტარის ან საპენსიო ფონდისთვის სხვა მომსახურების გამწევი ნებისმიერი პირის ხელმძღვანელი ან დაქირავებული პირი, ან აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების), სპეციალიზებული დეპოზიტარის ან საპენსიო ფონდისთვის სხვა მომსახურების გამწევი ნებისმიერი პირის წილობრივი მონაწილეობის ბენეფიციარი მესაკუთრე, ან აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან), სპეციალიზებულ დეპოზიტართან ან საპენსიო ფონდისთვის სხვა მომსახურების გამწევ ნებისმიერ პირთან აფილირებული პირი.

13. მმართველობითი საბჭოს წევრს ეზღუდება აქტივების მმართველი კომპანიისგან (კომპანიებისგან), სპეციალიზებული დეპოზიტარისგან ან მათთან აფილირებული პირებისგან ან საპენსიო ფონდისთვის მომსახურების გამწევი სხვა პირისგან ნებისმიერი საჩუქრის ან ანაზღაურების მიღება ან კრედიტის აღება (გარდა ჩვეულებრივი კომერციული პირობებით აღებული კრედიტისა).

14. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრის საქმიანობა ანაზღაურებადი საქმიანობაა და საპენსიო ფონდის წლიური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

15. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები არ უნდა შეადგენდნენ მმართველობითი საბჭოს წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს.

16. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალმა წევრმა არ შეიძლება მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან 6 თვის განმავლობაში პროფესიული მომსახურება გაუწიოს აქტივების მმართველ კომპანიას, რომელიც საპენსიო აქტივებს მართავს, ან სპეციალიზებულ დეპოზიტარს, რომელიც საპენსიო ფონდს სპეციალიზებულ დეპოზიტარულ მომსახურებას უწევს. თუ მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრი აღნიშნულ პერიოდში ამ პუნქტით დადგენილი შეზღუდვის გამო ვერ დასაქმდება, მას ამ პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდება არსებული თანამდებობრივი სარგო.

17. მმართველობითი საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ეროვნული ბანკის წინაშე.

18. საპენსიო ფონდის ამ კანონითა და საპენსიო ფონდის დებულებით განსაზღვრული პოლიტიკის დოკუმენტების გადასინჯვისა და გამოქვეყნების წესები დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით.

საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2208 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 9^1. (ამოღებულია)

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 10. მმართველობითი საბჭოს სხდომა და მისი ჩატარების პროცედურები

1. მმართველობითი საბჭოს სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. მმართველობითი საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

2. მმართველობითი საბჭოს სხდომას წარმართავს მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული მმართველობითი საბჭოს სხვა წევრი.

3. მმართველობითი საბჭოს წევრს აქვს 1 ხმის უფლება. მას არ შეუძლია ამ უფლების სხვა პირისთვის გადაცემა. მმართველობითი საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის სხდომას ესწრება მმართველობითი საბჭოს მოქმედი წევრების ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 6 წევრისა. მმართველობითი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა ამ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. ხმების

თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

4. მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია თავის სხდომაზე მოიწვიოს საპენსიო ფონდის ნებისმიერი თანამშრომელი. აღნიშნულ თანამშრომელს მმართველობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლება არ აქვს.

5. მმართველობითი საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა წესები და პროცედურები დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 11. შესარჩევი კომისია

1. შესარჩევი კომისია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეარჩევს მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრობის კანდიდატებს და მათ საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს. შესარჩევი კომისია საქართველოს პრემიერ-მინისტრს პროფესიონალი წევრობის კანდიდატებთან ერთად წარუდგენს მათი შრომის ანაზღაურების სარეკომენდაციო პირობებს.

2. შესარჩევი კომისიის მიერ მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრობის კანდიდატების შერჩევის წესები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით. შესარჩევი კომისია მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრობის კანდიდატებს არჩევს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით და მათ ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

3. შესარჩევ კომისიას უნდა ჰქონდეს თავის მიერვე დამტკიცებული დებულება, რომლითაც დგინდება მისი საქმიანობის განხორციელების წესები და პროცედურები.

4. შესარჩევი კომისია შედგება 8 წევრისგან. შესარჩევი კომისიის წევრები არიან საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის 3 წევრი და 2 დამოუკიდებელი წევრი.

5. შესარჩევი კომისიის დამოუკიდებელ წევრს წარადგენს ეროვნული ბანკი. დამოუკიდებელი წევრი არ შეიძლება იყოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. დამოუკიდებელ წევრს უნდა ჰქონდეს ფინანსურ სექტორში მუშაობის არანაკლებ 10 წლის პროფესიული გამოცდილება, მათ შორის, ფინანსების, ინვესტიციების ან/და რისკების მართვის მიმართულებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

6. შესარჩევი კომისიის წევრებად საქართველოს პარლამენტის 3 წევრს წარადგენს საქართველოს პარლამენტი.

7. შესარჩევი კომისიის წევრს შესარჩევი კომისიის წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე. ამ პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება შესარჩევი კომისიის დამოუკიდებელ წევრზე, რომლის უფლებამოსილების ვადასა და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

8. შესარჩევ კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც იგი ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. შესარჩევი კომისიის წევრებს, გარდა დამოუკიდებელი წევრებისა, შესარჩევ კომისიაში საქმიანობისთვის შრომის ანაზღაურება არ ეძლევათ. შესარჩევი კომისიის დამოუკიდებელი წევრისთვის შრომის ანაზღაურების მიცემას უზრუნველყოფს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. შესარჩევი კომისიის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს საპენსიო ფონდი.

9. შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის სხდომას ესწრება შესარჩევი კომისიის არანაკლებ 5 წევრი. შესარჩევი კომისია გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 12. საპენსიო ფონდის კომიტეტები

1. მმართველობითი საბჭო ვალდებულია სპეციალური ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად თავისი შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალი წევრებისგან შექმნას შემდეგი კომიტეტები:

ა) საინვესტიციო კომიტეტი;

ბ) რისკის კომიტეტი;

გ) აუდიტის კომიტეტი.

2. კომიტეტის ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ მმართველობითი საბჭოს წევრები. კომიტეტის წევრი შეიძლება იყოს აგრეთვე საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, თანამშრომელი, მოწვეული პირი. აღმასრულებელი დირექტორები არ უნდა შეადგენდნენ კომიტეტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება აუდიტის კომიტეტზე.

3. კომიტეტი უნდა შედგებოდეს სულ მცირე ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული 3 წევრისგან. კომიტეტი მმართველობითი საბჭოს შესაბამისი პროფესიონალი წევრებისგან ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარეს. კომიტეტის თავმჯდომარედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი. კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას. კომიტეტის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება კომიტეტის სრული შემადგენლობის ორი მესამედი. კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს მის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლება აქვთ მმართველობითი საბჭოს წევრებსა და აღმასრულებელ დირექტორებს.

4. კომიტეტი ანგარიშვალდებულია მმართველობითი საბჭოს წინაშე. კომიტეტის შექმნისა და ფუნქციონირების წესები და პროცედურები დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით.

5. საინვესტიციო კომიტეტის ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად დანიშნული მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრები. საინვესტიციო კომიტეტი შეიმუშავებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს და მისი განხორციელების პროცედურებს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს, აგრეთვე მმართველობითი საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეარჩევს ამ კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრულ აქტივების მმართველ კომპანიასა და სპეციალიზებულ დეპოზიტარს. საინვესტიციო კომიტეტი საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6. რისკის კომიტეტის ხმის უფლების მქონე წევრთა უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად დანიშნული მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრები. რისკის კომიტეტი შეიმუშავებს რისკის მართვის ჩარჩოს და მისი განხორციელების პროცედურებს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს. რისკის კომიტეტი რისკის მართვის ჩარჩოს შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს რისკის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

7. აუდიტის კომიტეტი უნდა შედგებოდეს მმართველობითი საბჭოს იმ წევრებისგან, რომლებიც საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები არ არიან. აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია მოიწვიოს შიდა აუდიტის უფროსი. შიდა აუდიტის უფროსი უფლებამოსილი არ არის, მონაწილეობა მიიღოს აუდიტის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში. აუდიტის კომიტეტი განიხილავს და ზედამხედველობს საპენსიო ფონდის ფინანსურ ანგარიშგებასთან, რისკების მართვასთან, შიდა კონტროლის სისტემასთან, შიდა აუდიტის საქმიანობასა და აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გარე აუდიტის განსახორციელებლად შეარჩევს აუდიტორულ ფირმას და მას მმართველობით საბჭოს დასანიშნად

წარუდგენს. აუდიტორული ფირმა უნდა შეირჩეს მსოფლიოს 4 უმსხვილესი აუდიტორული ფირმიდან. შერჩეულ აუდიტორულ ფირმასთან კონტრაქტი ფორმდება არაუმეტეს 3 წლის ვადით.

8. კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს თავისი წესდება, რომლითაც განისაზღვრება ამ კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს მმართველობითი საბჭოს წინაშე კომიტეტის რეგულარული ანგარიშგების, სხვა კომიტეტებთან თანამშრომლობის, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და კომიტეტის წევრთა ფუნქციების შესახებ ინფორმაციას. კომიტეტის წესდებას ამტკიცებს მმართველობითი საბჭო.

9. კომიტეტის წევრებს, გარდა კომიტეტის თავმჯდომარისა და მოწვეული პირებისა, კომიტეტში საქმიანობისთვის შრომის ანაზღაურება არ ეძლევათ.

10. მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული კომიტეტებისა, შექმნას სხვა კომიტეტები, რომელთა შექმნისა და საქმიანობის წესი დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 13. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები

1. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები შეადგენენ საპენსიო ფონდის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც შედგება გენერალური დირექტორისგან, მთავარი საინვესტიციო ოფიცრისგან, მთავარი რისკის ოფიცრისა და შიდა აუდიტის უფროსისგან. მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს აგრეთვე სხვა მიმართულებების აღმასრულებელი დირექტორები. ამ შემთხვევაში მათზე გავრცელდება აღმასრულებელი დირექტორებისთვის ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები და, ამავე კანონიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

2. მმართველობითი საბჭო ღია კონკურსით არჩევს და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით თანამდებობებზე ნიშნავს საპენსიო ფონდის აღმასრულებელ დირექტორებს, აგრეთვე ეროვნული ბანკისთვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ თანამდებობებიდან ათავისუფლებს აღმასრულებელ დირექტორებს.

3. მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დანიშნოს თავისი პროფესიონალი წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი. მმართველობითი საბჭოს მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი იმავდროულად შეიძლება იყოს საპენსიო ფონდის კომიტეტის წევრი. მმართველობითი საბჭოს თანამდებობრივი წევრი არ შეიძლება იყოს საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ან კომიტეტის წევრი. აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობა ანაზღაურებადი საქმიანობაა. თუ ამ პუნქტის შესაბამისად მმართველობითი საბჭოს წევრი იმავდროულად აღმასრულებელი დირექტორია, მას მიეცემა შესაბამისი დამატებითი ანაზღაურება.

4. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (მოადგილე). საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის (მოადგილის) დანიშვნის წესი დგინდება საპენსიო ფონდის დებულებით.

5. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კეთილსინდისიერი პირი, რომელსაც აქვს ამ თანამდებობისთვის საჭირო განათლება და სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილება. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორების თანამდებობებზე პირთა დანიშვნისთვის საჭირო განათლებისა და სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმებს, აგრეთვე მათი შესაფერისობის სხვა მოთხოვნებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

6. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულის ჩადენისთვის, აგრეთვე პირი, რომლის ქმედებამ ფინანსური ინსტიტუტის გადახდისუუნარობა ან გაკოტრება გამოიწვია.

7. თუ საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დროისთვის ახალი აღმასრულებელი დირექტორი დანიშნული არ იქნება, საპენსიო ფონდის მოქმედი აღმასრულებელი დირექტორი აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას ახალი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე.

8. გენერალური დირექტორი:

ა) წარმოადგენს საპენსიო ფონდს მესამე პირებთან ურთიერთობებში და ახორციელებს საპენსიო ფონდისთვის ამ კანონითა და საპენსიო ფონდის დებულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, მათ შორის, საპენსიო ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ) ამ კანონისა და საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს საპენსიო ფონდის თანამშრომლებს;

გ) აღასრულებს მმართველობითი საბჭოს გადაწყვეტილებებს;

დ) შეიმუშავებს საპენსიო ფონდის წლიურ ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხას და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს;

ე) ამ კანონისა და საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად ხელმძღვანელობს საპენსიო ფონდის საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც იღებს და აღასრულებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

ვ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი პირისთვის ამ კანონისა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების, ჯარიმისა და საურავის დაკისრების შესახებ და ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სააღსრულებო ფურცელს მიღებული გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად;

ზ) ყოველი წლის შედეგების მიხედვით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საპენსიო ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს;

თ) ასრულებს საპენსიო ფონდის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

[8. გენერალური დირექტორი:

ა) წარმოადგენს საპენსიო ფონდს მესამე პირებთან ურთიერთობებში, გარდა საპენსიო ფონდის დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე ახორციელებს საპენსიო ფონდისთვის ამ კანონითა და საპენსიო ფონდის დებულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, მათ შორის, საპენსიო ფონდის სახელით დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ) ამ კანონისა და საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს საპენსიო ფონდის თანამშრომლებს;

გ) აღასრულებს მმართველობითი საბჭოს გადაწყვეტილებებს;

დ) შეიმუშავებს საპენსიო ფონდის წლიურ ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხას და მათ დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს;

ე) ამ კანონისა და საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად ხელმძღვანელობს საპენსიო ფონდის საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც იღებს და აღასრულებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

ვ) ყოველი წლის შედეგების მიხედვით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საპენსიო ფონდის მიერ

განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

ზ) ასრულებს საპენსიო ფონდის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს. *(ამოქმედდეს 2026 წლის 15 ოქტომბრიდან)]*

9. გენერალური დირექტორი ამ კანონითა და საპენსიო ფონდის დებულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოსცემს სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს.

10. მთავარი საინვესტიციო ოფიცერი ამ კანონის, საპენსიო ფონდის დებულებისა და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას. მთავარი საინვესტიციო ოფიცერი უფლებამოსილია მიიღოს, გააფორმოს და აღასრულოს საინვესტიციო გადაწყვეტილებები, აგრეთვე საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგინოს საპენსიო ფონდი მესამე პირებთან ურთიერთობებში და დადოს შესაბამისი ხელშეკრულებები. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული უნდა იყოს მთავარი საინვესტიციო ოფიცრის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებების საინვესტიციო კომიტეტთან შეთანხმების წესები და პროცედურები.

11. მთავარი რისკის ოფიცერი ამ კანონისა და საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად და რისკის კომიტეტის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში ხელმძღვანელობს საპენსიო ფონდის რისკის მართვას და ასრულებს მასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. მთავარი რისკის ოფიცერი უფლებამოსილია რისკის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად ხელი მიუწვდებოდეს ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც აქვს საპენსიო ფონდს. მთავარი რისკის ოფიცერი ასევე უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიისგან, სპეციალიზებული დეპოზიტარისა და საპენსიო ფონდისთვის სხვა მომსახურების გამწევი პირისგან მიიღოს ინფორმაცია საპენსიო ფონდის სახელით დადებული გარიგებების შესახებ.

12. შიდა აუდიტის უფროსი აუდიტის კომიტეტთან ერთად, ამ კანონის, აუდიტის კომიტეტის წესდებისა და საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად ხელმძღვანელობს შიდა აუდიტის საქმიანობას. ეს საქმიანობა ყველა სხვა საქმიანობისგან დამოუკიდებლად უნდა ხორციელდებოდეს. შიდა აუდიტის უფროსისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დოკუმენტი და ჩანაწერი, მათ შორის, საპენსიო ფონდის თანამშრომლების, აღმასრულებელი დირექტორებისა და მმართველობითი საბჭოს წევრების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

13. საპენსიო ფონდის აღმასრულებელ დირექტორზე ვრცელდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. აღმასრულებელ დირექტორს ეზღუდება აგრეთვე აქტივების მმართველი კომპანიისგან, სპეციალიზებული დეპოზიტარისგან ან მათთან აფილირებული პირებისგან ან საპენსიო ფონდისთვის მომსახურების გამწევი სხვა პირისგან ნებისმიერი საჩუქრის ან ანაზღაურების მიღება ან კრედიტის აღება (გარდა ჩვეულებრივი კომერციული პირობებით აღებული კრედიტისა). აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

14. საპენსიო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა არ შეიძლება თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 6 თვის განმავლობაში პროფესიული მომსახურება გაუწიოს აქტივების მმართველ კომპანიას, რომელიც საპენსიო აქტივებს მართავს, ან სპეციალიზებულ დეპოზიტარს. თუ აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნულ პერიოდში ამ პუნქტით დადგენილი შეზღუდვის გამო ვერ დასაქმდება, მას ამ პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდება არსებული თანამდებობრივი სარგო.

15. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები ანგარიშვალდებული არიან მმართველობითი საბჭოს და შესაბამისი კომიტეტების წინაშე.

16. ეროვნული ბანკის მიერ საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორისთვის ხელმოწერის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში ამ უფლებამოსილებას ახორციელებს აღნიშნული აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მმართველობითი საბჭოს მიერ განსაზღვრული საპენსიო ფონდის სხვა თანამშრომელი, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საპენსიო ფონდის შესაბამისი აღმასრულებელი დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 14. ნდობითი ვალდებულების მქონე პირი

1. ამ კანონის მიზნებისთვის ნდობითი ვალდებულების მქონე პირები არიან:

ა) მმართველობითი საბჭოს წევრები;

ბ) აღმასრულებელი დირექტორები;

გ) სპეციალიზებული დეპოზიტარი და მის მიერ დასაქმებული პირები, რომლებსაც საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილება აქვთ;

დ) ამ კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები) და მის (მათ) მიერ დასაქმებული პირები, რომლებსაც საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილება აქვთ;

ე) საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით მონაწილეების წინაშე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საპენსიო ფონდს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე საინვესტიციო რჩევას აძლევს;

ვ) საპენსიო ფონდის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც საპენსიო აქტივებთან დაკავშირებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე დისკრეციული უფლებამოსილება აქვს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის დისკრეციული უფლებამოსილების მქონე პირად მიიჩნევა სპეციალიზებული დეპოზიტარის/აქტივების მმართველი კომპანიის მიერ დასაქმებული პირი, რომელსაც უფლება აქვს, უშუალოდ მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებით ან/და მის ფარგლებში.

საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2208 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.
საქართველოს 2022 წლის 1 დეკემბრის კანონი №2286 – ვებგვერდი, 15.12.2022წ.
საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 15. ანაზღაურების პოლიტიკა

1. საპენსიო ფონდი ვალდებულია ჰქონდეს საკუთარი საქმიანობის ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა ყველა პირისთვის, რომლებიც ეფექტიანად მართავენ დაგროვებით საპენსიო სქემას, ასრულებენ სპეციალურ ფუნქციებს და რომელთა საქმიანობა დაგროვებითი საპენსიო სქემის რისკის პროფილზე არსებით გავლენას ახდენს. ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა გასაჯაროვდეს.

2. ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

ა) ანაზღაურების პოლიტიკა ისე უნდა შემუშავდეს და ხორციელდებოდეს, რომ დაცული იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის რისკის პროფილი, მიზნები, გრძელვადიანი ინტერესები, ფინანსური სტაბილურობა და ხელი შეეწყოს საპენსიო ფონდის რაციონალურ/გონივრულ და ეფექტიან მართვას;

ბ) ანაზღაურების პოლიტიკა მონაწილეების გრძელვადიან, საუკეთესო ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს;

გ) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს იმ ზომებს, რომელთა მიზანია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება;

დ) საპენსიო ფონდი ვალდებულია განსაზღვროს ანაზღაურების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ განაახლოს ისინი;

ე) ანაზღაურების პოლიტიკის მართვა და კონტროლი მკაფიოდ, გამჭვირვალედ და ეფექტიანად უნდა

განხორციელდეს.

3. ანაზღაურების პოლიტიკას ამტკიცებს მმართველობითი საბჭო დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორები არ შეიძლება მონაწილეობდნენ ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცებაში.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 15[1]. (ამოღებულია)

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 16. აუთსორსინგული მომსახურება

1. საპენსიო ფონდის ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის, სპეციალური ფუნქცია, შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს შესაბამისი აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებიც ამ საქმიანობის განხორციელებისას/ფუნქციის შესრულებისას მათი სახელით იმოქმედებენ. საინვესტიციო ფუნქციის გადაცემა ხდება ამ კანონის 28[1] მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისთვის სრული პასუხისმგებლობა საპენსიო ფონდს ეკისრება.

3. საქმიანობების ან სპეციალური ფუნქციების აუთსორსინგული მომსახურებისთვის გადაცემა არ უნდა იწვევდეს:

ა) საპენსიო ფონდის მართვის სისტემის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას;

ბ) საოპერაციო რისკების გაუმართლებელ გაზრდას;

გ) ეროვნული ბანკის მიერ საპენსიო ფონდის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობის შეფერხებით განხორციელებას;

დ) მონაწილეებისთვის მომსახურების მიწოდების გაუარესებას.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული აუთსორსინგული მომსახურების შემთხვევაში საპენსიო ფონდი ვალდებულია გადაცემული საქმიანობების/სპეციალური ფუნქციების სათანადოდ განხორციელების/შესრულების მიზნით უზრუნველყოს აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლების შესაბამისი მონიტორინგი მათი ფუნქციონირების მთელი პერიოდისთვის.

5. საქმიანობებისა და სპეციალური ფუნქციების გადაცემა უნდა განხორციელდეს საპენსიო ფონდსა და აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებელს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულებით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მხარეებს შორის უფლებებისა და მოვალეობების განაწილება.

6. საპენსიო ფონდი ვალდებულია სპეციალურ ფუნქციებთან დაკავშირებული საქმიანობების აუთსორსინგული მომსახურებისთვის გადაცემის შემთხვევაში ეროვნული ბანკისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ეროვნულ ბანკთან უნდა შეთანხმდეს აგრეთვე ნებისმიერი შემდგომი ცვლილება, რომელიც ამ პუნქტით გათვალისწინებულ აუთსორსინგულ მომსახურებას შეეხება. საპენსიო ფონდი ვალდებულია სხვა საქმიანობების აუთსორსინგული მომსახურებისთვის გადაცემის შემთხვევაში მათი გადაცემიდან გონივრულ ვადაში აცნობოს ეროვნულ ბანკს ამის შესახებ.

7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საპენსიო ფონდს და ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლებს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინფორმაცია გადაცემული სპეციალური ფუნქციების ან სხვა საქმიანობების შესახებ.

მუხლი 17. საპენსიო ფონდის საქმიანობის დაფინანსების წყარო, საპენსიო ფონდის წლიური ბიუჯეტი

1. საპენსიო ფონდის საქმიანობის დაფინანსების წყაროა მონაწილეთა საპენსიო აქტივები საპენსიო აქტივების წლიური მომსახურების საფასურის სახით, რომელიც გამოიხატება საპენსიო აქტივების პროცენტული მოცულობით. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია განსაზღვროს ამ საფასურის გატანის პერიოდულობა.

2. საპენსიო ფონდის წლიურ ბიუჯეტში განსაზღვრული უნდა იყოს წლიური მომსახურების საფასურის პროცენტული მოცულობა.

3. საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორი არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა მმართველობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საპენსიო ფონდის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს.

4. არ შეიძლება საპენსიო ფონდის საქმიანობის დასაფინანსებლად საპენსიო ფონდის მიერ მონაწილეთა საპენსიო აქტივებიდან საპენსიო აქტივების წლიური მომსახურების საფასურის სახით მიღებული თანხა დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მასზე საკუთრების უფლება მესამე პირს გადაეცეს ან ის სხვაგვარად გასხვისდეს საპენსიო ფონდის მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად. ამ კანონის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მართვის საკომისიოსთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება (მისი არსებობის შემთხვევაში) განხორციელდება ეტაპობრივად, იმგვარად, რომ არ შეფერხდეს საპენსიო ფონდის ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობა.

მუხლი 18. საპენსიო ფონდის ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება

1. საპენსიო ფონდი ვალდებულია ყოველწლიურად, კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა, თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს საპენსიო ფონდის მიერ გასულ წელს განხორციელებული საქმიანობის წლიური ანგარიში. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აუდიტირებულია მსოფლიოს 4 უმსხვილესი აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთის მიერ, რომელსაც შეარჩევს აუდიტის კომიტეტი და ნიშნავს მმართველობითი საბჭო. შერჩეულ აუდიტორულ კომპანიას შესაძლებლობა ექნება, უწყვეტად მხოლოდ სამჯერ განახორციელოს წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტირება;

ბ) ჯამური აბსოლუტური ამონაგების შესახებ ინფორმაციას, ამ კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო პორტფელებიდან თითოეულის ჭრილში, მათ შორის, აქტივების კლასების მიხედვით;

გ) ამ კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო პორტფელების მიხედვით ინვესტირებული საპენსიო აქტივების ღირებულებისა და პროპორციის შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე აქტივების კლასების როგორც მიზნობრივი, ისე ფაქტობრივი განაწილების თაობაზე ინფორმაციას;

დ) აქტივების მმართველი კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის შედეგების, მიზნობრივი მაჩვენებლებისა და მათგან გადახრის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას – ეროვნული ვალუტითა და უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ცალ-ცალკე;

ე) ანგარიშს ყველა სხვა გადასახდელის შესახებ, მათ შორის, სპეციალიზებული დეპოზიტარის საკომისიოს და ჯამურად სხვა მომსახურებისა და ფინანსური გარიგების საფასურების თაობაზე;

ვ) საპენსიო ფონდის დებულებით ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.

2. საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორი ვალდებულია ყოველწლიურად, კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს წარუდგინოს საპენსიო ფონდის მიერ გასულ წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

3. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია სხვა ინფორმაცია (მათ შორის, არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება) გამოაქვეყნოს თავის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 19. საპენსიო ფონდის საქმიანობის ზედამხედველობა

1. ეროვნული ბანკი ახორციელებს საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, წინასწარი განჭვრეტისა და რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე.

2. ეროვნული ბანკის მიერ საპენსიო ფონდის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა მოიცავს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

ა) საპენსიო ფონდის მიერ მომზადებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის ამ კანონითა და ამ კანონის შესაბამისად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმებას;

ბ) აქტივების განთავსების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის, საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა და საპენსიო ფონდის მიერ ამ კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის პროცედურის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას;

გ) საპენსიო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის დადგენას;

დ) საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორების შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენას;

ე) საპენსიო ფონდის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წესების დადგენას;

ვ) ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული საინვესტიციო წესების დადგენას;

ზ) მონაწილეებისთვის დოკუმენტების/ინფორმაციის შედგენისა და მიწოდების მოთხოვნების დადგენას;

თ) ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო აქტივების გადატანის წესების დადგენას;

ი) საპენსიო აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის განსაზღვრას;

კ) პორტფელის ერთეულის ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის, ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიისა და ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშთან დაკავშირებული წარმოების პრინციპებისა და სტანდარტების განსაზღვრას;

ლ) მონაწილეთა უფლებების დაცვის მოთხოვნების დადგენას;

მ) ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე საპენსიო შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის მოთხოვნების დადგენას;

ნ) პენსიის პროგრამული გატანის მოთხოვნების დადგენას;

ო) პრეტენზიების განხილვისა და გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალური მოთხოვნების დადგენას;

ჰ) რისკის მართვის ჩარჩოს შეთანხმებას და რისკის მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოთხოვნის დადგენას.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) დაადგინოს დამატებითი მარეგულირებელი წესები სპეციალიზებული დეპოზიტარისთვის, რომელიც საპენსიო ფონდს/აქტივების მმართველ კომპანიას (კომპანიებს) უწევს მომსახურებას. ეს წესები შეიძლება ეხებოდეს საკუთარ კაპიტალს, პერსონალის გამოცდილებას, ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას, მომსახურების მაქსიმალურ ფასს ან ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელსაც ეროვნული ბანკი ამ კანონის აღსრულებისთვის საჭიროდ მიიჩნევს;

ბ) საპენსიო ფონდს, სპეციალიზებულ დეპოზიტარს, აქტივების მმართველ კომპანიას (კომპანიებს) და მათთვის მომსახურების გამწევ ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია);

გ) საპენსიო ფონდს, სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და აქტივების მმართველ კომპანიას (კომპანიებს) მოსთხოვოს და მიიღოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია თავის მიერ განსაზღვრული ფორმითა და პერიოდულობით;

დ) შეამოწმოს საპენსიო ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, აქტივების მართვასა და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საპენსიო აქტივებთან დაკავშირებულ, მათ შორის, საინვესტიციო საქმიანობისთვის აუცილებელ, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ე) შეამოწმოს საინვესტიციო საქმიანობასა და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული სააღრიცხვო, საანგარიშსწორებო, ადმინისტრაციული და საინფორმაციო სისტემებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის საშუალებების ამ კანონითა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ვ) ადგილზე შეამოწმოს საპენსიო ფონდი, სპეციალიზებული დეპოზიტარი და აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები) ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ზ) ამ კანონის შესაბამისად დაადგინოს დამატებითი წესები და ლიმიტები საპენსიო ფონდის ან/და აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) საინვესტიციო პორტფელებში ბირჟაზე ვაჭრობის განმახორციელებელი საინვესტიციო ფონდის (საინვესტიციო ფონდების) ფლობასთან დაკავშირებით;

თ) შემოწმების შედეგად საჭიროების გამოვლენის ან/და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საპენსიო ფონდს ან/და აქტივების მმართველ კომპანიას მისცეს სავალდებულო მითითება ან/და საჯარო რეკომენდაცია არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ და მათ აღმოსაფხვრელად გონივრული ვადა განუსაზღვროს;

ი) მონაწილეთა ინტერესების დაცვისა და საპენსიო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, საპენსიო ფონდთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავის მიერ დადგენილი წესით სრულად ან ნაწილობრივ შეასრულოს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები;

კ) მონაწილის მიერ ამ კანონის 27-ე მუხლის 3^1 პუნქტით მინიჭებული უფლებით სარგებლობის შემთხვევაში საპენსიო ფონდისთვის დაადგინოს პორტფელის ერთეულების გამოსყიდვის ისეთი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მათი გამოსყიდვის თითოეული პერიოდისთვის დაწესდება გამოსასყიდი პორტფელის ერთეულების საერთო რაოდენობის ან მაქსიმალური ღირებულების შეზღუდვა, აგრეთვე აქტივების წმინდა ღირებულებით გამოთვლილი პორტფელის ერთეულის ფასიდან გადახრის იმგვარი მექანიზმი, რომელიც დააბალანსებს იმ ეფექტს, რომელსაც ახალი პორტფელის ერთეულების გაყიდვა ან არსებული პორტფელის ერთეულების გამოსყიდვა ახდენს აქტივების წმინდა ღირებულებაზე;

ლ) დაადგინოს ამ კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვები ეროვნული ვალუტითა და უცხოური ვალუტით დენომინირებული იმ საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტების მინიმალური საკრედიტო რეიტინგი, რომლებშიც შეიძლება განხორციელდეს საპენსიო აქტივების ინვესტირება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

მ) შეაფასოს საპენსიო ფონდის მართვის სისტემასთან/სტრუქტურასთან დაკავშირებული ხარისხობრივი მახასიათებლები;

ნ) შეაფასოს საპენსიო ფონდის წინაშე არსებული და შესაძლო რისკები;

ო) შეაფასოს საპენსიო ფონდის მიერ რისკების იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის შესაძლებლობები;

პ) შეაფასოს საპენსიო ფონდის კომიტეტების შესაბამისი წესდებები და საქმიანობა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომიტეტებისთვის მინიმალური სტანდარტი და პროცედურა დაადგინოს;

ჟ) შეაფასოს საპენსიო ფონდის დებულება;

რ) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გამოიყენოს დარღვევის პროპორციული სანქციები, მათ შორის, მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საპენსიო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლებამოსილება ან თანამდებობიდან გაათავისუფლოს იგი. აღმასრულებელი დირექტორისთვის ხელმოწერის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ამ უფლებამოსილებას ახორციელებს აღნიშნული აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – მმართველობითი საბჭოს მიერ განსაზღვრული საპენსიო ფონდის სხვა თანამშრომელი;

ს) საპენსიო ფონდს მოსთხოვოს აუცილებელი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/დამტკიცება;

ტ) საპენსიო ფონდს განუსაზღვროს და მის მიმართ გამოიყენოს შესაბამისი არაფულადი სანქციები თავის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

4. ეროვნული ბანკი ვალდებულია თავის წლიურ ანგარიშში ასახოს საპენსიო ფონდის საქმიანობის ამ კანონსა და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5. თუ ეროვნულ ბანკს აქვს ინფორმაცია სპეციალიზებული დეპოზიტარის ფინანსური ან ორგანიზაციული მდგომარეობის გაუარესების ან შესაძლო გაუარესების შესახებ, იგი საპენსიო ფონდს წერილობით აწვდის ამ ინფორმაციას, აგრეთვე საპენსიო ფონდის მიერ ამ კანონის შესაბამისად შერჩეული სპეციალიზებული დეპოზიტარისა და ამავე კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიის ავტორიზაციის გაუქმების პროცესის ინიციირების თაობაზე ინფორმაციას.

6. ეროვნული ბანკი ახორციელებს სპეციალური ადმინისტრირების დროებით რეჟიმს, რომლის დაწყების საფუძველია საპენსიო აქტივების ინვესტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული ინვესტირებული საპენსიო აქტივების 1 პროცენტზე მეტი დანაკარგი, რომელიც გამოწვეული არ არის საბაზრო პირობების ცვლილებით, საკრედიტო რისკის ან კონტრაჰენტთან დაკავშირებული რისკის მატერიალიზებით, საპენსიო ფონდის ბრალეულობით და რომლის განჭვრეტაც შეუძლებელი იყო, ან ეროვნული ბანკის არსებითი მითითებების სისტემატური შეუსრულებლობა, ან ისეთი მდგომარეობა, როდესაც საპენსიო ფონდი დროებით ვერ ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს და რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის მიერ ამ საქმიანობასთან დაკავშირებით დროებითი მოქმედების განხორციელებას. სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებისა და მოქმედების წესს ადგენს ეროვნული ბანკი.

7. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, დაადგინოს ამ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის რეგულირებისთვის საჭირო დამატებითი წესები.

ეროვნული ბანკი ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 20. (ამოღებულია)

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

თავი IV. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა

მუხლი 21. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა

1. დასაქმებული, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (მამაკაცის შემთხვევაში) ან 55 წელი (ქალის შემთხვევაში), მონაწილე ხდება ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ დამსაქმებლის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე.

2. დასაქმებულს უფლება აქვს, უარი თქვას დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე ამ კანონის შესაბამისად.

3. დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (მამაკაცის შემთხვევაში) ან 55 წელი (ქალის შემთხვევაში), აგრეთვე თვითდასაქმებული მონაწილე ხდება ნებაყოფლობით, ამ კანონის შესაბამისად.

4. დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (მამაკაცის შემთხვევაში) ან 55 წელი (ქალის შემთხვევაში), აგრეთვე თვითდასაქმებული მონაწილე ხდება ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ მის მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.

მუხლი 22. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმა

1. თუ დასაქმებულს, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი, არ სურს იყოს მონაწილე, მას უფლება აქვს, საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, წერილობით მიმართოს საპენსიო ფონდს და გავიდეს ამ სქემიდან მასში სავალდებულო წესით, ავტომატურად გაწევრებიდან 5 თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს გაწევრებიდან 3 თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმებული მონაწილედ რჩება.

2. დამსაქმებელს ეკრძალება დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით დასაქმებულის დარწმუნება ან გადარწმუნება ან მასზე სხვა ფორმით ზემოქმედება.

3. დასაქმებულის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანები და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი შესაბამისი ხარჯების გამოკლებით დაიბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დაუბრუნდება დასაქმებულს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით;

ბ) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანები და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი შესაბამისი ხარჯების გამოკლებით დაუბრუნდება დამსაქმებელს ან მის უფლებამონაცვლეს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით;

გ) სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანები გადაირიცხება საპენსიო ფონდის სახაზინო ანგარიშზე, ხოლო ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი შესაბამისი ხარჯების

გამოკლებით გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით.

4. თუ დასაქმებული ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უარს განაცხადებს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, მას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრდეს აღნიშნულ სქემაში ამ კანონისა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ის დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრებულად ჩაითვლება.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებული დასაქმებულის მიერ საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით განცხადების წარდგენის საფუძველზე პირველი საპენსიო შენატანის განხორციელება გამოიწვევს ელექტრონულ სისტემაში მის შესახებ საინფორმაციო ჩანაწერის შექმნას, რომელიც დაადასტურებს დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებას და შექმნის მისი ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის გააქტიურების საფუძველს.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 23. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის განგრძობადობა

1. მონაწილე დასაქმებული, რომელსაც დროებით შეუჩერდება ხელფასის სახით თანხის მიღება, დროებით შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას. ის საპენსიო შენატანების განხორციელებას განაახლებს ხელფასის სახით თანხის მიღების აღდგენისთანავე. თუ დასაქმებული შრომითი/სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის, ორსულობის, მშობიაროზისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების, დროებითი ან ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ხელფასის ნებისმიერი მიზეზით არარსებობის გამო შეწყვეტს საპენსიო შენატანების განხორციელებას, საპენსიო აქტივები რჩება მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ამ კანონის შესაბამისად.

2. მონაწილე თვითდასაქმებული, რომელსაც დროებით შეუჩერდება თვითდასაქმებულის შემოსავლის მიღება, დროებით შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას. საპენსიო აქტივები რჩება მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ამ კანონის შესაბამისად. თვითდასაქმებული საპენსიო შენატანების განხორციელებას განაახლებს თვითდასაქმებულის შემოსავლის მიღების აღდგენისთანავე.

3. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

4. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.

თავი V. საპენსიო აქტივები და მათი ინვესტირება

მუხლი 24. მონაწილის უფლება საპენსიო აქტივებზე

1. საპენსიო აქტივები, პორტფელის ერთეულები, რომლებიც მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახება, მისი საკუთრებაა. მონაწილეს აღნიშნული საკუთრების განკარგვის უფლება წარმოეშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას ან ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. არ შეიძლება მონაწილის/პენსიის მიმღების საპენსიო აქტივებზე/ პორტფელის ერთეულებზე მისი ქონებრივი უფლებები დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მათზე საკუთრების უფლება მესამე პირს გადაეცეს ან ისინი სხვაგვარად გასხვისდეს მონაწილის, საპენსიო ფონდის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად. მონაწილის/პენსიის მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები/პორტფელის ერთეულები აღსრულებას არ ექვემდებარება და ვერ იქნება შეტანილი მონაწილის/პენსიის მიმღების, საპენსიო ფონდის, სპეციალიზებული დეპოზიტარის ან აქტივების მმართველი კომპანიის (კომპანიების) გაკოტრების მასაში.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 25. საპენსიო ფონდში არსებული ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშები

1. საპენსიო შენატანები და საპენსიო შენატანებით შეძენილი პორტფელის ერთეულები მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახება.

2. საპენსიო ფონდი მონაწილეს დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრებისთანავე შეუქმნის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშს და უზრუნველყოფს მისთვის ამ ანგარიშის შესახებ ინფორმაციის დისტანციურ, ელექტრონულ ხელმისაწვდომობას. ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის შექმნასთან, პორტფელის ერთეულის ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიასთან, ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიასა და ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს განსაზღვრავს საპენსიო ფონდი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

3. ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშის ღირებულება გამოითვლება და მონაწილისთვის მის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

4. (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

5. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

6. მონაწილის დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, მის მიერ პენსიის ან/და საპენსიო აქტივების სრულად მიღების შემდეგ მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში არააქტიური ხდება, თუმცა არ უქმდება. ყოფილი მონაწილისთვის/პენსიის მიმღებისთვის მისი ინდივიდუალური საპენსიო ანგარიში ხელმისაწვდომი რჩება.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 26. სპეციალიზებული დეპოზიტარი

1. საინვესტიციო კომიტეტი ვალდებულია შეარჩიოს სპეციალიზებული დეპოზიტარი, რომელსაც ის დააკისრებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულების ვალდებულებებს.

2. საინვესტიციო კომიტეტი სპეციალიზებულ დეპოზიტარს კონკურსით შეარჩევს (გარდა ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა). კონკურსის ჩატარების პირობებსა და პროცედურებს (მათ შორის, სპეციალიზებული დეპოზიტარის წინასწარი შერჩევის მოთხოვნებს) განსაზღვრავს და ამტკიცებს მმართველობითი საბჭო.

3. სპეციალიზებული დეპოზიტარი შეიძლება მომსახურებას ერთზე მეტ პირს უწევდეს, მაგრამ მას საპენსიო ფონდის საპენსიო აქტივები, მათთან დაკავშირებული ოპერაციები და ჩანაწერები ნებისმიერი სხვა პირის ან/და საკუთარი აქტივებისა და ჩანაწერებისგან განცალკევებით უნდა ჰქონდეს აღრიცხული და შენახული.

4. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც საპენსიო ფონდს სპეციალიზებულ დეპოზიტარულ მომსახურებას უწევს, უნდა იყოს ლიცენზირებული და საპენსიო აქტივების შენახვის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული. საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც საპენსიო ფონდს სპეციალიზებულ დეპოზიტარულ მომსახურებას უწევს, უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული, ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული, აგრეთვე საპენსიო აქტივების შენახვის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული. ასეთი სპეციალიზებული დეპოზიტარი უნდა იყოს მოქმედი, მის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და იგი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

5. სპეციალიზებული დეპოზიტარი არ უნდა მოქმედებდეს, როგორც აქტივების მმართველი კომპანია.

6. სპეციალიზებული დეპოზიტარი, ამ მუხლის მე-12 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) იღებს და ინახავს ფასიან ქაღალდებს, რომლებიც შეადგენს საპენსიო აქტივებს;

ბ) იღებს და ინახავს იმ გადარიცხვებისა და ფულადი სახსრების გაცემის შესახებ ანგარიშსწორების დოკუმენტების ასლებს, რომლებიც შეადგენს საპენსიო აქტივებს;

გ) ახორციელებს ჩანაწერებს სპეციალიზებულ დეპოზიტართან განთავსებული საპენსიო აქტივების რეესტრის შესაბამის ანგარიშებში;

დ) საპენსიო ფონდს უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფორმაციით მისთვის ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში დახმარების გასაწევად;

ე) უზრუნველყოფს საპენსიო აქტივების შეძენისა და განკარგვის შესახებ დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობასა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ვ) საპენსიო აქტივებთან მიმართებით ასრულებს ზედამხედველობის ვალდებულებას;

ზ) ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

7. სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და საპენსიო ფონდს შორის დადებული სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

ა) სპეციალიზებული დეპოზიტარის ვალდებულებებს;

ბ) სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადებსა და ფორმას;

გ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ანაზღაურების ოდენობასა და გამოთვლის წესს;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

8. სპეციალიზებული დეპოზიტარისთვის შესაბამისი ლიცენზიის ან ავტორიზაციის/აღიარების გაუქმების, სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულების არსებითად დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების ან სპეციალიზებული დეპოზიტარის წინააღმდეგ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში საპენსიო ფონდი სპეციალიზებულ დეპოზიტარს უგზავნის შეტყობინებას სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მისი შეწყვეტის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს ეროვნულ ბანკსა და მმართველობით საბჭოს.

9. სპეციალიზებული დეპოზიტარის ცვლილება განხორციელდება ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს საპენსიო ფონდისთვის სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების უწყვეტ მიწოდებას.

10. სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სპეციალიზებული დეპოზიტარი მასთან განთავსებულ საპენსიო აქტივებს და მის მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს გადასცემს ახალ სპეციალიზებულ დეპოზიტარს აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ან მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებულ ვადებში.

11. ამ მუხლის შესაბამისად სპეციალიზებულ დეპოზიტართან განთავსებული საპენსიო აქტივები არ არის მისი საკუთრება, არ შეიძლება მიექცეს სპეციალიზებული დეპოზიტარის ვალდებულებების შესასრულებლად, არ არის მისი აქტივების ნაწილი, რომელზედაც შეიძლება გავრცელდეს გაკოტრების პროცედურები.

12. თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების მიღება სხვაგვარად შეუძლებელია ან არაგონივრულ ძალისხმევას ან ხარჯებს მოითხოვს, მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალიზებული დეპოზიტარული მომსახურების შესაძენად ეროვნულ ბანკთან ხელშეკრულების დადების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ეროვნულმა ბანკმა

შეიძლება შეასრულოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული სპეციალიზებული დეპოზიტარის ყველა ფუნქცია ან მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილი.

საქართველოს 2020 წლის 19 მარტის კანონი №5860 – ვებგვერდი, 23.03.2020წ.
საქართველოს 2023 წლის 9 თებერვლის კანონი №2551 – ვებგვერდი, 27.02.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 16 ნოემბრის კანონი №3728 – ვებგვერდი, 07.12.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 27. საპენსიო აქტივების ინვესტირება

1. (ამოღებულია - 27.06.2024, №4312).

2. (ამოღებულია - 27.06.2024, №4312).

3. საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს ერთმანეთისგან განსხვავებული რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე 3 საინვესტიციო პორტფელში:

ა) კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში;

ბ) დაბალანსებულ (საშუალორისკიან) საინვესტიციო პორტფელში;

გ) დინამიკურ (მაღალრისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

3^1. მონაწილეს/პენსიის მიმღებს უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს, რომელი საინვესტიციო პორტფელი შეეფერება ყველაზე მეტად მის რისკის მიმართ ტოლერანტობას. მონაწილე/პენსიის მიმღები საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით წარდგენილი განცხადებით აფიქსირებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი საინვესტიციო პორტფელი შეეფერება მას.

3^2. თუ მონაწილე/პენსიის მიმღები ისარგებლებს ამ მუხლის 3^1 პუნქტით მინიჭებული უფლებით, მასზე არ გავრცელდება ამავე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებით გათვალისწინებული წესები.

4. თუ მონაწილე/პენსიის მიმღები არ ისარგებლებს ამ მუხლის 3^1 პუნქტით მინიჭებული უფლებით, საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მონაწილის/პენსიის მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე 2028 წლის 1 იანვრამდე რიცხული/ასახული საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში;

ბ) მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე 2028 წლის 1 იანვრის შემდეგ განხორციელებული საპენსიო შენატანები, აგრეთვე დაგროვებით საპენსიო სქემაში 2028 წლის 1 იანვრის შემდეგ გაწევრებული მონაწილის საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

ბ.ა) 40 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება დინამიკურ (მაღალრისკიან) საინვესტიციო პორტფელში;

ბ.ბ) 40 წლიდან 50 წლამდე მონაწილის საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება დაბალანსებულ (საშუალორისკიან) საინვესტიციო პორტფელში;

ბ.გ) 50 წლის ან 50 წელზე მეტი ასაკის მონაწილის საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

4^1. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაწილის ასაკი დგინდება შემდეგნაირად: დაგროვებით საპენსიო სქემაში 2028 წლის 1 იანვრამდე გაწევრებული მონაწილის ასაკი – 2028 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხოლო 2028 წლის 1 იანვრის შემდეგ გაწევრებული მონაწილის ასაკი – გაწევრების თარიღის მდგომარეობით. ამასთანავე, მონაწილის ასაკის ცვლილებასთან ერთად მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები შესაბამისი ასაკობრივი

კატეგორიისთვის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ა“–„ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საინვესტიციო პორტფელში გადაიტანება. თუ მონაწილე ისარგებლებს ამ კანონის 33-ე მუხლით მინიჭებული უფლებით, მისი საპენსიო აქტივების ინვესტირება, მონაწილის ასაკის მიუხედავად, განხორციელდება კონსერვატიულ (ნაკლებრისკიან) საინვესტიციო პორტფელში.

5. მონაწილეს/პენსიის მიმღებს უფლება აქვს, ამ კანონისა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეცვალოს მის მიერ არჩეული საინვესტიციო პორტფელი ან ის საინვესტიციო პორტფელი, რომელიც ამ მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების შესაბამისად ავტომატურად არის არჩეული და რომელსაც საპენსიო ფონდი მართავს.

5^1. მონაწილის/პენსიის მიმღების მიერ საინვესტიციო პორტფელის შერჩევისა და შეცვლის წესს ადგენს საპენსიო ფონდი. აღნიშნული წესით განისაზღვრება სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, საინვესტიციო პორტფელის შეცვლის პერიოდულობა და მონაწილის/პენსიის მიმღების მიერ საპენსიო ფონდისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენის ვადა. საინვესტიციო პორტფელის შეცვლის პერიოდულობა არ უნდა იყოს 12 თვეზე ნაკლები, გარდა საპენსიო ფონდის ნორმატიული აქტით განსაზღვრული ცალკეული შემთხვევებისა (მათი არსებობის შემთხვევაში).

5^2. საპენსიო ფონდი ვალდებულია მონაწილეს საპენსიო ასაკის მიღწევამდე 2 წლით ადრე ელექტრონულად მიაწოდოს ინფორმაცია მისი საინვესტიციო პორტფელის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია პენსიის მიღების შემდეგ საინვესტიციო პორტფელის შეცვლის შესაძლებლობისა და პენსიის გატანის ფორმების თაობაზე. საპენსიო ფონდი ადგენს პენსიის მიმღებისთვის პენსიის/საპენსიო აქტივების გაცემის/დანიშვნის წესებსა და პროცედურებს, მათ შორის, თითოეული საინვესტიციო პორტფელის ჭრილში ლიკვიდური აქტივების მინიმალურ მოთხოვნებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

6. საინვესტიციო კომიტეტი ამ მუხლით განსაზღვრული პრინციპების გათვალისწინებით შეიმუშავებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც განხორციელდება საპენსიო აქტივების ინვესტირება.

7. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი საპენსიო აქტივების ინვესტირების მიზნებისთვის, თითოეული ტიპის საინვესტიციო პორტფელის ჭრილში ცხადად უნდა განსაზღვრავდეს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

ა) საინვესტიციო მიზნებს;

ბ) აქტივების განთავსების სტრატეგიას და აქტივების განთავსების სტრატეგიიდან გადახრის მაქსიმალურ დასაშვებ ნორმებს თითოეული კლასის აქტივებისთვის;

გ) მთლიანი რისკების პროფილს და ცალკეული რისკების მიმართ ტოლერანტულობის მატრიცას, მისი მოქმედების საინვესტიციო ჰორიზონტის მითითებით;

დ) ამ კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიის, სპეციალიზებული დეპოზიტარისა და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების გამწევი პირის შერჩევის, მონიტორინგის, შეფასებისა და მასთან ხელშეკრულების დადების/შეწყვეტის პროცედურას. თითოეულ საინვესტიციო პორტფელში ინვესტიციები უნდა დაიგეგმოს იმ გათვლით, რომ საინვესტიციო ჰორიზონტის ბოლოსთვის, მაღალი სანდოობით მოსალოდნელი იყოს ინვესტირებიდან დადებითი რეალური ამონაგები (ინფლაციის გათვალისწინებით).

8. თითოეული საინვესტიციო პორტფელი უნდა ითვალისწინებდეს განსხვავებულ საინვესტიციო ჰორიზონტს, რომელსაც განსაზღვრავს საინვესტიციო კომიტეტი ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე:

ა) კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტი არ უნდა იყოს 5 წელზე ნაკლები;

ბ) დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტი უნდა

აღემატებოდეს კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტს;

გ) დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტი უნდა აღემატებოდეს დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელის საინვესტიციო ჰორიზონტს.

8[1]. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული თითოეული ტიპის (კონსერვატიული, დაბალანსებული, დინამიკური) საინვესტიციო პორტფელის მიხედვით შექმნას და მონაწილეებს შესთავაზოს რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი), დაბალანსებული (საშუალორისკიანი) ან დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელი.

9. თითოეული საინვესტიციო პორტფელის საშუალებით განხორციელებული ინვესტირებიდან მიღებული ამონაგები და საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობა უნდა შეფასდეს საინვესტიციო ჰორიზონტის ვადიანობის და განხორციელებული ინვესტირების შედეგად შემდგარი საინვესტიციო პორტფელის რისკიანობის გათვალისწინებით.

10. მმართველობითი საბჭო განსაზღვრავს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის გადასინჯვის წესსა და პერიოდულობას. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი უნდა გადაისინჯოს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

11. მმართველობითი საბჭო/საინვესტიციო კომიტეტი ვალდებულია საფინანსო ბაზრებზე განვითარებულ მნიშვნელოვან რყევებზე ან მათთან დაკავშირებულ რისკებზე რეაგირების მიზნით განიხილოს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის ცვლილების საჭიროება.

12. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო პორტფელის ტიპები და დასაშვები საინვესტიციო ლიმიტები აქტივების ფართო კლასების ჭრილში განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი) საინვესტიციო პორტფელი:

ა.ა) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“–„დ[1]“ ქვეპუნქტებითა და მე-17 პუნქტის „ა“–„გ[1]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტები, აგრეთვე საჯარო შეთავაზების გზით განთავსებული, ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორპორაციული სასესხო ფასიანი ქაღალდები – 100 პროცენტამდე;

ა.ბ) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები – 20 პროცენტამდე;

ა.გ) ამ მუხლის მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული სხვა ტიპის აქტივები (გარდა ამ მუხლის 13[1] პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდის ან ქვეფონდის ერთეულებისა) – 15 პროცენტამდე;

ა.დ) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კერძო კაპიტალის, ვენჩურული კაპიტალისა და უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდებში ინვესტირებისას ეს საინვესტიციო ფონდები ეროვნული ბანკის მიერ უნდა იყოს რეგისტრირებული/ავტორიზებული;

ა.ე) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „დ[2]“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით ამ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ლიმიტზე მკაცრი ლიმიტი დააწესოს;

ბ) დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელი:

ბ.ა) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“–„დ[1]“ ქვეპუნქტებითა და მე-17 პუნქტის „ა“–„გ[1]“ ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტები, აგრეთვე საჯარო შეთავაზების გზით განთავსებული, ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორპორაციული სასესხო ფასიანი ქაღალდები – 80 პროცენტამდე;

ბ.ბ) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები – 20 პროცენტიდან 40 პროცენტამდე;

ბ.გ) ამ მუხლის მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული სხვა ტიპის აქტივები (გარდა ამ მუხლის 13^1 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდის ან ქვეფონდის ერთეულებისა) – 20 პროცენტამდე;

გ) დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელი:

გ.ა) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“–„$დ^1$“ ქვეპუნქტებითა და მე-17 პუნქტის „ა“–„$გ^1$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტები, აგრეთვე საჯარო შეთავაზების გზით განთავსებული, ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორპორაციული სასესხო ფასიანი ქაღალდები – 60 პროცენტამდე;

გ.ბ) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წილობრივი ფასიანი ქაღალდები – 40 პროცენტიდან 60 პროცენტამდე;

გ.გ) ამ მუხლის მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული სხვა ტიპის აქტივები (გარდა ამ მუხლის 13^1 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდის ან ქვეფონდის ერთეულებისა) – 25 პროცენტამდე.

13. უცხოური ვალუტით დენომინირებულ საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსების მაქსიმალური ზღვრები საინვესტიციო პორტფელების ჭრილში განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი) საინვესტიციო პორტფელი – 20 პროცენტი;

ბ) დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელი – 40 პროცენტი;

გ) დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელი – 60 პროცენტი.

13^1. ამ მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების მიზნებისთვის ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით ან მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდის ან მისი ქვეფონდის ერთეულების ფლობა იმავე საინვესტიციო ფონდის/ქვეფონდის პორტფელში შემავალი აქტივების პროპორციული ოდენობით ფლობად ჩაითვლება, თუ შესაბამისი პორტფელის არანაკლებ 95 პროცენტი ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ა“–„$დ^1$“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მე-17 პუნქტის „ა“–„დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტივებისგან შედგება. ამ მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი დამატებითი მოთხოვნები ვრცელდება აგრეთვე ამ პუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ფონდის/ქვეფონდის პორტფელში შემავალ შესაბამის აქტივებზე, თუ ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. (ამოღებულია - 27.06.2024, №4312);

15. საინვესტიციო კომიტეტი ამ კანონის 28^1 მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიისთვის (მისი არსებობის შემთხვევაში) ამტკიცებს დეტალურ საინვესტიციო სახელმძღვანელოს თითოეული ტიპის საინვესტიციო პორტფელისთვის. ის უნდა მოიცავდეს არანაკლებ უკუგების მიზნობრივ მაჩვენებლებს (თამასას), თამასისადმი რისკების გადახრის ზღვრულ მაჩვენებელს მიზნობრივი მაჩვენებლების მიმართ, დასაშვებ და აკრძალულ ინვესტიციებს, საკრედიტო რისკებს, საინვესტიციო ჰორიზონტს, სარეიტინგო ზღვრებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტისა და ამ კანონის შესაბამისად.

16. საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემდეგ უცხოური ვალუტით დენომინირებულ საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტებში:

ა) ფულადი სახსრები, საბანკო დეპოზიტები და სადეპოზიტო სერტიფიკატები;

ბ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი;

გ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები;

დ) სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ან სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი, თუ ის სათანადოდ არის გარანტირებული შესაბამისი სახელმწიფოს მიერ;

დ[1]) სახელმწიფოს საბანკო მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული იპოთეკით დაცული ობლიგაციები;

დ[2]) საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად თანაინვესტირება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების დაცვით;

ე) კორპორაციული სასესხო ფასიანი ქაღალდები (გარდა ამ პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ობლიგაციებისა), რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამისი მარეგულირებლის მიერ და განთავსებულია საჯარო ან კერძო შეთავაზების გზით;

ვ) საწარმოთა აქციები ან გლობალური დეპოზიტარული ხელწერილები, რომლებიც რეგისტრირებულია სახელმწიფოს კაპიტალის ბაზრის შესაბამისი მარეგულირებლის მიერ და განთავსებულია საჯარო შეთავაზების გზით და რომლებით ვაჭრობაც ხორციელდება საფონდო ბირჟაზე, იმ პირობით, რომ მათზე განხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა;

ზ) სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული/ავტორიზებული/რეგისტრირებული ან/და სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული საინვესტიციო ფონდის (მათ შორის, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის განმახორციელებელი საინვესტიციო ფონდის, კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდის, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდის, უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდის) ერთეულები;

თ) სხვა ფინანსური ინსტრუმენტები ან/და არაფინანსური აქტივები, რომლებიც დაბალანსებული (საშუალორისკიანი) და დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელებისთვის შეიძლება ინვესტირებისთვის დაუშვას ეროვნულმა ბანკმა.

17. საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემდეგ ეროვნული ვალუტით დენომინირებულ საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტებში:

ა) ფულადი სახსრები, საბანკო დეპოზიტები და სადეპოზიტო სერტიფიკატები;

ბ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, მუნიციპალიტეტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი;

გ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები;

გ[1]) ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული იპოთეკით დაცული ობლიგაციები;

დ) კორპორაციული სასესხო ფასიანი ქაღალდები (გარდა ამ პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ობლიგაციებისა), რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამისი მარეგულირებლის მიერ საქართველოში და განთავსებულია საჯარო ან კერძო შეთავაზების გზით;

დ[1]) საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად თანაინვესტირება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების დაცვით;

ე) საწარმოთა აქციები, რომლებიც განთავსებულია საჯარო შეთავაზების გზით, საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში ლიცენზირებული საფონდო ბირჟის სიაში და რომლებზედაც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა;

ვ) ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული/რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდის (მათ შორის, კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდის, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდის, უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდის) ერთეულები;

ზ) სხვა ფინანსური ინსტრუმენტები ან/და არაფინანსური აქტივები, რომლებიც დაბალანსებული (საშუალორისკიანი) და დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელებისთვის შეიძლება ინვესტირებისთვის დაუშვას ეროვნულმა ბანკმა.

18. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

19. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები (მათ შორის, მინიმალური დასაშვები საკრედიტო რეიტინგი) ამ მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი სახის საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან/და ემიტენტისთვის.

20. აკრძალულია საპენსიო აქტივების ინვესტირება:

ა) აქტივებში, რომელთა გასხვისებაც დაუშვებელია კანონით;

ბ) ოფციონებში, ფიუჩერსულ და ფორვარდულ გარიგებებსა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებსა და ფინანსურ აქტივებში, გარდა ჰეჯირების სტრატეგიის ფარგლებში რისკების შემცირების მიზნით გამოსაყენებელი დერივატივებისა, რომლებიც არ ზრდის ღია პოზიციებს. აღნიშნულ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ჰეჯირების სტრატეგიის ფარგლებში გამოსაყენებელ დერივატივებთან მიმართებით დამატებითი მოთხოვნები დაადგინოს;

გ) კერძო წილობრივ ფასიან ქაღალდებში/წილში, უძრავ ქონებასა და ფიზიკურ აქტივებში;

დ) იმ აქტივების მმართველი კომპანიის, რომელიც საპენსიო აქტივებს მართავს, მმართველობითი საბჭოს წევრის ან მასთან აფილირებული პირის ნებისმიერ ქონებაში;

ე) ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გამოუშვა იმ აქტივების მმართველმა კომპანიამ, რომელიც საპენსიო აქტივებს მართავს, ან მასთან აფილირებულმა პირმა;

ვ) ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ან/და არაფინანსურ ინსტრუმენტებში.

21. დაუშვებელია საპენსიო აქტივების 5 პროცენტზე მეტის ინვესტირება ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებულ საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტებში. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის განმახორციელებელ საინვესტიციო ფონდთან და ასეთი საინვესტიციო ფონდის ემიტენტთან მიმართებით დაადგინოს ამ პუნქტით განსაზღვრულისგან განსხვავებული წესი.

22. დაუშვებელია იმ საპენსიო აქტივების ჭრილში, რომლებსაც საპენსიო ფონდი მართავს:

ა) ერთი ემიტენტის მიმოქცევაში არსებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტების ჯამურად 20 პროცენტზე მეტის ფლობა ან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად არაუმეტეს 30 პროცენტზე მეტის ფლობა;

ბ) ამ მუხლის მე-16 პუნქტის „დ[2]“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ტრანზაქციების ფარგლებში 20 პროცენტზე მეტი თანამონაწილეობა.

22 . თუ საინვესტიციო პორტფელი სცდება ამ მუხლით განსაზღვრულ ლიმიტებს/მოთხოვნებს და ეს შეუსაბამობა გამოწვეული არ არის ახალი საინვესტიციო გადაწყვეტილებით, საპენსიო ფონდი ვალდებულია 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს საინვესტიციო პორტფელის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

22^2. ამ მუხლით განსაზღვრული ლიმიტების გამოთვლისას გაითვალისწინება მხოლოდ ღია (არაჰეჯირებული) პოზიციები.

22^3. ამ მუხლის 21-ე პუნქტით განსაზღვრული ლიმიტი გამოითვლება იმ საინვესტიციო პორტფელებიდან თითოეულის ჭრილში, რომლებსაც საპენსიო ფონდი მართავს.

23. ამ მუხლის 21-ე და 22-ე პუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვები არ ვრცელდება ფულად სახსრებზე, საბანკო დეპოზიტებზე, სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და იპოთეკით დაცულ ობლიგაციებზე, აგრეთვე საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკის ან საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული, არანაკლებ AA- ან მისი ეკვივალენტური საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ემიტირებულ ფასიან ქაღალდებზე.

24. არ შეიძლება საპენსიო აქტივები გასხვისდეს:

ა) იმ აქტივების მმართველ კომპანიაზე, რომელიც მომსახურებას უწევს ამ საპენსიო აქტივებს;

ბ) მმართველობითი საბჭოს წევრზე;

გ) ნებისმიერ პირზე, რომელიც არის აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მმართველობითი საბჭოს წევრთან აფილირებული პირი (აფილირების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემთხვევაში).

24^1. ამ მუხლის მე-20 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, 24-ე პუნქტითა და ამ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი აკრძალვები არ ვრცელდება საპენსიო ფონდის/აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ფასიანი ქაღალდებით დადებულ იმ გარიგებაზე, რომლის მეორე მხარე ბენეფიციარის სახელით/სასარგებლოდ ეროვნული ბანკის ან სხვა სახელმწიფოს მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტია, ამასთანავე, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დამკვიდრებული ჩვეულებებიდან გამომდინარე, საპენსიო ფონდისთვის/აქტივების მმართველი კომპანიისთვის ამ ბენეფიციარის ვინაობა უცნობია.

25. აქტივების მმართველმა კომპანიამ არ შეიძლება გასცეს რაიმე სესხი ან გარანტია ამ მუხლის 24-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის სასარგებლოდ.

26. საპენსიო ფონდი/აქტივების მმართველი კომპანია ახორციელებს იმ საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ყველა უფლებას მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად, რომლებსაც ის მართავს.

საქართველოს 2020 წლის 19 მარტის კანონი №5860 – ვებგვერდი, 23.03.2020წ.
საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7008 - ვებგვერდი, 28.07.2020წ.
საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 28. (ამოღებულია)

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 28^1. აქტივების მმართველი კომპანია

1. მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობითა და მის მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურების დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო აქტივების ამ მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიისთვის სამართავად გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში საპენსიო ფონდი აქტივების მმართველ კომპანიასთან დებს შესაბამის ხელშეკრულებას. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია საპენსიო აქტივები მხოლოდ სხვა ტიპის აქტივებში საინვესტიციოდ იქნეს გადაცემული.

2. აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია მართოს საპენსიო აქტივები საპენსიო აქტივების მართვის ხელშეკრულებისა და საინვესტიციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული დეტალური საინვესტიციო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

3. აქტივების მმართველი კომპანია, რომელიც საქართველოშია რეგისტრირებული, უნდა იყოს ლიცენზირებული და საპენსიო აქტივების მართვის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული იურიდიული პირი, ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა ახორციელებდეს საქმიანობას და მის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან ლიცენზიის/ავტორიზაციის გაუქმების პროცედურები.

4. ამ მუხლის მიზნებისთვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საქართველოში ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიისთვის დამატებითი მოთხოვნები დაადგინოს.

5. აქტივების მმართველი კომპანია, რომელიც საქართველოს ფარგლების გარეთ არის რეგისტრირებული, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს იმ სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული, სადაც რეგისტრირებულია, აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული;

ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა ახორციელებდეს საქმიანობას და მის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების პროცედურები;

გ) არ უნდა იყოს მმართველობითი საბჭოს წევრთან აფილირებული პირი;

დ) უნდა ჰქონდეს მესამე (კერძო და ინსტიტუციური) პირების დაგროვილი აქტივების მართვის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული აქტივების მმართველი კომპანიისთვის დამატებითი მოთხოვნები დაადგინოს.

7. მმართველობითი საბჭო შერჩევის გამჭვირვალე პროცედურების გამოყენებით შეარჩევს ერთ ან ერთზე მეტ აქტივების მმართველ კომპანიას. მმართველობითი საბჭო ადგენს აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის წესსა და კრიტერიუმებს.

8. ამ მუხლის შესაბამისად აქტივების მმართველ კომპანიასთან განთავსებული საპენსიო აქტივები არ არის მისი საკუთრება, არ შეიძლება მიექცეს აქტივების მმართველი კომპანიის ვალდებულებების შესასრულებლად, არ არის მისი აქტივების ნაწილი, რომელზედაც შეიძლება გავრცელდეს გადახდისუუნარობის პროცედურები.

9. ამ მუხლის დებულებებზე ვრცელდება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესები.

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 29. (ამოღებულია)

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 30. (ამოღებულია)

საქართველოს 2023 წლის 9 თებერვლის კანონი №2551 – ვებგვერდი, 27.02.2023წ.
საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.

მუხლი 31. მონაწილის წინაშე წლიური ანგარიშგება

1. საპენსიო ფონდი მონაწილეს არანაკლებ კვარტალში ერთხელ აწვდის მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას, რომელშიც

მითითებულია საპენსიო შენატანების განხორციელების თარიღები და საინვესტიციო ამონაგები. ეს ინფორმაცია მონაწილეს შეიძლება ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიეწოდოს. მონაწილისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების წესსა და ფორმას განსაზღვრავს საპენსიო ფონდი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მონაწილის მოთხოვნის შემთხვევაში საპენსიო ფონდი ვალდებულია მიაწოდოს მონაწილეს წერილობითი ინფორმაცია მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულების შესახებ.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 32. პენსიის დანიშვნა და გაცემა საპენსიო ასაკში

1. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილეს უფლება აქვს, საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიმართოს საპენსიო ფონდს და მიიღოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით.

2. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილეს ასევე უფლება აქვს, საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიმართოს საპენსიო ფონდს და მოსთხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივებით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენა პენსიის მიღების მიზნით.

3. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია განსაზღვროს მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების მისთვის პენსიის სახით გაცემის სხვა ფორმაც და უზრუნველყოს მონაწილე ამ ფორმით.

4. მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო აქტივების ღირებულების სრული მოცულობა მისი ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან, თუ მან საპენსიო ასაკს მიაღწია საპენსიო შენატანების განხორციელების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 5 წლისა.

5. საპენსიო ფონდი ადგენს მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულების ზღვარს, რომლის ფარგლებშიც მონაწილეს უფლება აქვს, მიიღოს პენსია ერთიანი გადახდით.

6. მონაწილე მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამის თანხას სრულად მიიღებს მას შემდეგ, რაც საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიმართავს საპენსიო ფონდს, ხოლო საპენსიო ფონდი მიიღებს ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

7. საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორი მმართველობით საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამული გატანის პერიოდულობის განსაზღვრის წესებსა და პირობებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საპენსიო აქტივების იმ მონაწილეებისთვის გაცემის მიზნით, რომლებსაც არ აქვთ უფლება, გაიტანონ საპენსიო აქტივები ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.

8. პროგრამული გატანით გასაცემი თანხის ოდენობის გამოსათვლელად მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისთვის მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება იყოფა მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე, რომელიც ეფუძნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს მოსახლეობის ასაკობრივი განაწილების და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ.

9. პროგრამული გატანით გასაცემი თანხის ოდენობა გადაანგარიშდება ყოველწლიურად, მონაწილის ასაკის შეცვლის თვეში. დაუშვებელია გადახდების პროგრამა განსხვავებული იყოს მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის, რასის, რელიგიური მრწამსის, სქესის, ეროვნების ან ნებისმიერი დისკრიმინაციული ნიშნის საფუძველზე.

10. საპენსიო ფონდი მონაწილეს მისი საპენსიო ასაკის მოახლოების შესახებ ატყობინებს

ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ამ ასაკის დადგომამდე 6 თვით ადრე და უზრუნველყოფს მისთვის სტანდარტული განაცხადის ფორმის ხელმისაწვდომობას.

11. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

12. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

13. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილეს უფლება აქვს, თუმცა ვალდებული არ არის, საპენსიო ასაკის მიღწევის საფუძვლით მოითხოვოს და მიიღოს პენსია საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით. თუ მონაწილე საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ არ გამოიყენებს ამ უფლებას, დამსაქმებელი და სახელმწიფო მის სასარგებლოდ განახორციელებენ საპენსიო შენატანებს მონაწილის მიერ პენსიის მოთხოვნამდე, ამ კანონისა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

14. არ შეიძლება პენსიის მიღების დაწყების შემდეგ მონაწილემ გააგრძელოს საპენსიო შენატანების განხორციელება.

15. საპენსიო ფონდი პენსიის/საპენსიო აქტივების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მონაწილის მიერ მისთვის საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით პენსიაზე გასვლის შესახებ განცხადებით მიმართვის თარიღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ხოლო პენსიის გაცემას/გადახდას იწყებს პენსიის/საპენსიო აქტივების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. საპენსიო ფონდის მიერ პენსიის/საპენსიო აქტივების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მონაწილეს სტატუსი ეცვლება და იგი პენსიის მიმღები ხდება.

16. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

17. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 33. პენსიის დანიშვნა და გაცემა მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვისას

1. მონაწილეს უფლება აქვს, შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსია მიიღოს ნებისმიერ ასაკში, თუ მას მიენიჭება სათანადო სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ შემთხვევაში მონაწილე პენსიას მიიღებს ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ფორმით.

2. საპენსიო ფონდი განსაზღვრავს შესაბამის ფორმებსა და პროცედურებს, რომელთა საფუძველზედაც მონაწილე განახორციელებს ამ მუხლით მინიჭებულ უფლებას და მოითხოვს პენსიის საპენსიო ასაკის მიღწევამდე მიღებას.

3. საპენსიო ფონდი მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით პენსიის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და პენსიის გაცემას/გადახდას იწყებს ამ კანონის 32-ე მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და დადგენილი წესით.

4. შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით პენსიის ერთიანი გადახდით დანიშვნის გამო დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ მონაწილეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს ხელახლა გაწევრდეს დაგროვებით საპენსიო სქემაში ამ კანონისა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ის დაგროვებით საპენსიო სქემაში სავალდებულო წესით გაწევრებულად ჩაითვლება. ამასთანავე, მას აღარ ექნება უფლება, ამ კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით პენსიის დანიშვნა და გაცემა.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 34. საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრისთვის გადაცემა

1. თუ მონაწილე გარდაიცვალა, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო

აქტივების შესაბამისი თანხა გადაეცემა მის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

2. საპენსიო აქტივები მონაწილის მემკვიდრეს შეიძლება გადაეცეს ერთიანი გადახდით, ხოლო თუ გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე მონაწილეა – მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანით, მემკვიდრის არჩევანის შესაბამისად.

3. მონაწილის მემკვიდრე საპენსიო ფონდს წარუდგენს მოთხოვნას საპენსიო ფონდის მიერ დამტკიცებული წესის (პროცედურების) შესაბამისად.

4. საპენსიო ფონდი გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრისგან საპენსიო აქტივების მისთვის გადაცემის მოთხოვნისა და ამ მოთხოვნის ლეგიტიმურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღების შემდეგ, ამ კანონის 32-ე მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საპენსიო აქტივების გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრისთვის გადაცემის შესახებ და მემკვიდრეს გადასცემს გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხულ საპენსიო აქტივებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი ფორმით, მემკვიდრის არჩევანის შესაბამისად.

5. (ამოღებულია - 01.11.2023, №3601).

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 34[1]. მონაწილის მიერ საპენსიო აქტივების მიღება საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას

1. თუ მონაწილეს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა ან/და დაკარგა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა, მას აქვს უფლება, მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით. ეს მოთხოვნა იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება, თუ დადასტურდება, რომ მონაწილე აღარ არის საქართველოს მოქალაქე ან/და მას აღარ აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა.

2. თუ პირმა, რომელმაც ისარგებლა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით, კვლავ მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა ან/და საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა, სავალდებულოა ამ კანონის შესაბამისად აღნიშნული პირის სახელით და მის სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განხორციელება. საქართველოს მოქალაქეობის ან/და საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის კვლავ მოპოვების შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მის ყველა დამსაქმებელს.

3. საპენსიო ფონდი მონაწილის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძვლით მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და მონაწილეს საპენსიო აქტივების ღირებულებას გადასცემს ამ კანონის 32-ე მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. მონაწილის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძვლით მისთვის გადასაცემი თანხა იბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 34[2]. საპენსიო აქტივების ზედმეტობით გაცემა

1. თუ ამ კანონის 32-ე–34[1] მუხლების საფუძველზე საპენსიო აქტივების გაცემის შემდეგ დადგინდება, რომ პენსიის მიმღებმა/მისმა მემკვიდრემ საპენსიო აქტივები/პენსია ზედმეტობით მიიღო, დამსაქმებლის ან საპენსიო ფონდის მიერ პენსიის მიმღებისთვის/მისი მემკვიდრისთვის ზედმეტად გადახდილი თანხის მოთხოვნა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობითა და საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. დამსაქმებელს უფლება არ აქვს, საპენსიო ფონდს მოსთხოვოს მის მიერ დასაქმებულის სახელით/სასარგებლოდ განხორციელებული საპენსიო შენატანის ან/და მასთან დაკავშირებული რაიმე თანხის გადახდა, რომელიც გაცემულია ამ კანონის 32-ე–34[1] მუხლების საფუძველზე.

თავი VI. ნდობითი ვალდებულების დარღვევა და მისი შედეგები

მუხლი 35. ნდობითი ვალდებულების დარღვევა

1. ნდობითი ვალდებულების მქონე პირმა საპენსიო აქტივები უნდა მართოს მხოლოდ მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად, ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სხვა ინტერესების დაცვა არის ნდობითი ვალდებულების დარღვევა. ნდობითი ვალდებულების მქონე პირი მოვალეობების შესრულებისას ვალდებულია:

ა) მოქმედებდეს კეთილსინდისიერად;

ბ) ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, საღად მოაზროვნე პირი;

გ) მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება საუკეთესოა საპენსიო აქტივების მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად.

2. თუ ნდობითი ვალდებულების მქონე პირს არ აქვს რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნა და ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა, მან უნდა მოიძიოს ამ საკითხზე შესაბამისი სფეროს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტის მოსაზრება.

3. ნდობითი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება ნდობითი ვალდებულების მქონე პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა (მათ შორის, საპენსიო აქტივების თავის სასარგებლოდ ან მასთან აფილირებული პირის სასარგებლოდ გამოყენება ან საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით ისეთი გარიგების დადება (გარდა საპენსიო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის მიერ საინვესტიციო საქმიანობის ფარგლებში საპენსიო აქტივებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებისა), რომლის მეორე მხარე ნდობითი ვალდებულების მქონე პირთან აფილირებული პირია).

4. ნდობითი ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება ნდობითი ვალდებულების მქონე პირის ისეთი ქმედება, რომელიც მან საინვესტიციო საქმიანობის ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით წარმართვის პროცესში განახორციელა, დამდგარი შედეგის მიუხედავად. ნდობითი ვალდებულების მქონე პირის მიერ ნდობითი ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება აგრეთვე დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის სახელით/სასარგებლოდ საპენსიო შენატანის განუხორციელებლობა.

5. ნდობითი ვალდებულების დარღვევისთვის პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 36. ნდობითი ვალდებულების დარღვევის შედეგები

1. საპენსიო ფონდმა შეიძლება ნდობითი ვალდებულების მქონე პირს მოსთხოვოს ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2. ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

3. ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შედეგად ამოღებული თანხები მიექცევა შესაბამისი მონაწილის ან მისი მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, ნდობითი ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის პროპორციულად.

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 37. დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების პროცესში დამსაქმებლის ჩარევა

და დამსაქმებლის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა

1. დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების პროცესში დამსაქმებლის ჩარევა ამ კანონის დარღვევაა.

2. დამსაქმებლის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება), ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასაქმებულის მიერ ამ კანონის შესაბამისად საპენსიო შენატანის განუხორციელებლობა, აგრეთვე ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის საპენსიო შენატანის აუნაზღაურებლობა ამ კანონის დარღვევაა და გამოიწვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.

მუხლი 37[1]. (ამოღებულია)

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.
საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

[თავი VI[1]. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის ფაქტის გამოვლენა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების წესები

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[2]. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა

1. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი წესით საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა (მათ შორის, ამ ვალდებულების ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა) არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და იწვევს ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. საპენსიო ფონდი ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციასთან შედარების შედეგად ან/და დამსაქმებლის შემოწმების/მონიტორინგის განხორციელებისას მიღებული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე ახდენს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განსახორციელებლად კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირებას, აგრეთვე ავლენს საპენსიო შენატანის ზედმეტობით განხორციელების ფაქტს.

3. საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების არსებობის ან/და მისი დარღვევის იდენტიფიცირება ხდება და საპენსიო ფონდი შემოწმებას ახორციელებს ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საპენსიო ფონდის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

4. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევისთვის დამსაქმებელს საპენსიო ფონდის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება:

ა) ჯარიმა;

ბ) მონაწილის მიუღებელი სარგებელი – ამ კანონითა და საპენსიო ფონდის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დამსაქმებლის მიმართ ჯარიმის გამოყენება მას არ ათავისუფლებს მონაწილის მიუღებელი სარგებლის დარიცხვისგან/გადახდისგან და საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულებისგან. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შესაბამისი საპენსიო შენატანი სრულად საკუთარი ხარჯით

(დასაქმებულის ხელფასიდან გამოქვითვის გარეშე) განახორციელოს.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[3]. ჯარიმა

1. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი წესით დამსაქმებლის მიერ საკუთარი ან დასაქმებულის სახელით საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დამსაქმებლის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. თუ დამსაქმებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სრულად უზრუნველყოფს განუხორციელებელი საპენსიო შენატანისა და მასზე დარიცხული მონაწილის მიუღებელი სარგებლის (მისი არსებობის შემთხვევაში) გადახდას, მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვალდებულება გაუქმდება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში სამართალდამრღვევი კარგავს აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას.

3. საპენსიო შენატანის (შენატანების) განხორციელების ვალდებულების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ საშემოსავლო დეკლარაციის შესწორება/დაზუსტება, რომლის გათვალისწინებითაც იგი ამ კანონითა და საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით დროულად და ჯეროვნად განახორციელებს საპენსიო შენატანს (შენატანებს);

ბ) 2025 წლის 1 მაისამდე პერიოდისთვის – ამ კანონის 37[2] მუხლის შესაბამისად ინფორმაციების შედარების შედეგად შესამოწმებელ 1-თვიან პერიოდში იდენტიფიცირებული შეუსაბამობა, რომელიც გულისხმობს ერთი მონაწილის მიმართ განხორციელებულ და კანონის შესაბამისად განსახორციელებელ საპენსიო შენატანებს შორის სხვაობას არაუმეტეს 1 ლარისა;

გ) 2025 წლის 1 მაისის შემდგომი პერიოდისთვის – შემთხვევა, როდესაც დამსაქმებლის მიერ საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით 1 საანგარიშო თვეში განსახორციელებელი საპენსიო შენატანების ჯამური ოდენობა 1 ლარს არ აღემატება.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. დამსაქმებელს ჯარიმა შეიძლება დაეკისროს საპენსიო ფონდის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[4]. მონაწილის მიუღებელი სარგებელი

1. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის (ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და საპენსიო შენატანის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევით შესრულების) ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში დამსაქმებელს საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება და მონაწილის მიუღებელი სარგებელი საპენსიო შენატანის იმ ოდენობაზე, რომელიც არ განხორციელებულა ან შესაბამისი ვადის დარღვევით განხორციელდა, საპენსიო შენატანის განხორციელების ვადის გასვლის მომდევნო დღიდან, თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის არსებული, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისთვის დამატებული 5 პროცენტული პუნქტის ოდენობით. მონაწილის მიუღებელი სარგებელი დაირიცხება საპენსიო შენატანის განხორციელების ვადის გასვლის მომდევნო დღიდან. დამსაქმებელს ამ პუნქტით გათვალისწინებული მონაწილის მიუღებელი სარგებელი დაეკისრება ჯარიმისგან დამოუკიდებლად, საპენსიო ფონდის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით.

2. მონაწილის მიუღებელი სარგებლის დარიცხვა წყდება დამსაქმებლის მიერ შესაბამისი საპენსიო შენატანის სრულად განხორციელებით.

3. მონაწილის მიუღებელი სარგებლის დარიცხვა არ წყდება ამ სარგებლის დარიცხვის შესახებ საპენსიო ფონდის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებით.

4. მონაწილის მიუღებელი სარგებლის დარიცხვა არ წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან სათანადო რეჟიმის დასრულებამდე, აგრეთვე რეაბილიტაციის გეგმის მოქმედების პერიოდში.

5. დამსაქმებელს ამ მუხლით გათვალისწინებული მონაწილის მიუღებელი სარგებელი დაეკისრება ჯარიმისგან დამოუკიდებლად, საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით.

6. მონაწილის მიუღებელი სარგებელი ირიცხება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[5]. მონიტორინგის განხორციელება

1. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია დამსაქმებლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, საპენსიო შენატანის განუხორციელებლობის ან/და საპენსიო შენატანის ზედმეტობით განხორციელების ფაქტის გამოსავლენად მის მიერ დადგენილი წესით განახორციელოს მონიტორინგი.

2. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ნებისმიერ პირს (მათ შორის, დამსაქმებელს, მონაწილეს, პენსიის მიმღებს, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეს) მოსთხოვოს ან/და ნებისმიერი პირისგან მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საპენსიო შენატანის ან/და ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ან/და მათი კორექტირების შესახებ და ეს ინფორმაცია გაითვალისწინოს ჯარიმის, მონაწილის მიუღებელი სარგებლის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი პირი ვალდებულია შეასრულოს საპენსიო ფონდის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საპენსიო ფონდი უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

4. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ნებისმიერ პირს მოსთხოვოს ამ პირისთვის შეცდომით გადახდილი ნებისმიერი თანხის მისთვის დაბრუნება და ამ თანხის დასაბრუნებლად განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, გარდა ამ კანონის 34[2] მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

5. თუ დამსაქმებლის შემოწმების/მონიტორინგის განხორციელებისას საპენსიო ფონდის მიერ მიღებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდება, რომ ეს ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ან/და ელექტრონულ სისტემაში არსებულ ინფორმაციას, საპენსიო ფონდი უფლებამოსილია გადაწყვეტილების მიღებისას და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას იხელმძღვანელოს მის მიერ შესწავლილი ინფორმაციით/დოკუმენტაციით.

6. საპენსიო ფონდი უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ფარგლებში შეადგინოს და გამოსცეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თავის მიერ დადგენილი/დამტკიცებული ფორმით.

7. საპენსიო ფონდი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ დაგება. ასეთ შემთხვევებში საპენსიო ფონდი გამოსცემს ელექტრონულ

საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოცემის წესსა და პროცედურებს ამტკიცებს საპენსიო ფონდი.

8. საპენსიო ფონდი ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს და ამტკიცებს დამსაქმებლების (მათ შორის, სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების) მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის ფაქტის იდენტიფიცირებისა და საპენსიო შენატანის ზედმეტობით განხორციელების ფაქტის გამოვლენის, აგრეთვე ჯარიმის, მონაწილის მიუღებელი სარგებლის დაკისრებისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს. აღნიშნული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საპენსიო ფონდი ადგენს/ამტკიცებს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ფორმებს.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[6]. გადაწყვეტილების აღსრულება

1. ჯარიმის, მონაწილის მიუღებელი სარგებლის ან/და საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დაკისრების შესახებ საპენსიო ფონდის გადაწყვეტილების აღსრულებისას დამსაქმებლის მიერ გადახდილი თანხები მიიმართება შემდეგი რიგითობით:

ა) საპენსიო შენატანი;

ბ) მონაწილის მიუღებელი სარგებელი;

გ) ჯარიმა.

2. საპენსიო შენატანის არასრულად განხორციელების შემთხვევაში მონაწილის მიუღებელი სარგებელი დაირიცხება დარჩენილი ვალდებულების პროპორციულად.

3. ამ კანონით გათვალისწინებული ჯარიმა, საპენსიო შენატანი და მონაწილის მიუღებელი სარგებელი იძულებით აღსასრულებლად მიექცევა საპენსიო ფონდის ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და მის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

4. ჯარიმის დაკისრების შესახებ საპენსიო ფონდის გადაწყვეტილება აღსასრულებლად შეიძლება მიექცეს მისი მიღებიდან 2 წლის ვადაში.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[7]. ინფორმაციის/დოკუმენტის გაცნობა

1. საპენსიო ფონდის მიერ მიღებული/გამოცემული, ამ თავით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაწყვეტილება/ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი დამსაქმებელს ეგზავნება/წარედგინება ელექტრონული სისტემისა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2. საპენსიო ფონდის გადაწყვეტილების/ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ ინფორმაცია დამსაქმებელს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვაგვარი ელექტრონული შეტყობინების სახით, თუ ელექტრონულ სისტემაში ან/და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია. თუ საპენსიო ფონდს არ აქვს დამსაქმებლის საკონტაქტო ინფორმაცია, იგი უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან მოპოვებას.

3. საპენსიო ფონდის მიერ გაგზავნილი/წარდგენილი გადაწყვეტილება/ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა მხოლოდ ადრესატის მიერ მისი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონულ სისტემაში გაცნობისთანავე (ნახვისთანავე), ხოლო ამ ინფორმაციის/ დოკუმენტის რამდენიმე ფორმით გაგზავნის/წარდგენის შემთხვევაში მისი ჩაბარების თარიღად პირველად გაცნობის თარიღი ითვლება.

4. თუ ელექტრონულ სისტემასა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ გადაწყვეტილებას/ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან/და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას/დოკუმენტს ადრესატი არ გაეცნო განთავსებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, საპენსიო ფონდი უზრუნველყოფს მის საჯაროდ გავრცელებას.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტი საჯაროდ ვრცელდება საპენსიო ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით, საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით. საჯაროდ განთავსებული გადაწყვეტილება/ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად მიიჩნევა მისი საჯაროდ განთავსებიდან მე-10 კალენდარულ დღეს. ***(ამოქმედდეს 2026 წლის 15 ოქტომბრიდან)]***

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

თავი VI[2]. საპენსიო ფონდის დავების განხილვის სამსახური

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[8]. საპენსიო ფონდის დავების განხილვის სამსახური

1. დავების განხილვის სამსახური არის საპენსიო ფონდის დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც ანგარიშვალდებულია მმართველობითი საბჭოს წინაშე და ამ მუხლით გათვალისწინებულ დავებს (საჩივრებს) უსასყიდლოდ, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობის, თანასწორობის, კანონიერებისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით განიხილავს.

2. დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ ის დავები, რომლებიც გამომდინარეობს:

ა) ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული საპენსიო ფონდის გადაწყვეტილებიდან;

ბ) ამ კანონის 32-ე–34[1] მუხლებით გათვალისწინებული საპენსიო ფონდის გადაწყვეტილებიდან, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მონაწილის/გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მოთხოვნა პენსიისა და საპენსიო აქტივების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე;

გ) ამ კანონის 37[3] და 37[4] მუხლებით გათვალისწინებული საპენსიო ფონდის გადაწყვეტილებიდან.

3. საჩივრის წარმდგენს უფლება აქვს, დავების განხილვის სამსახურში დავის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, აგრეთვე ამ სამსახურისთვის მიმართვამდე სადავო საკითხის გადასაწყვეტად პირდაპირ სასამართლოს მიმართოს.

4. დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოსაკვლევად ნებისმიერ ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს ან ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს ამ საქმისთვის საჭირო ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები).

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარუდგენლობის შემთხვევაში დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია იხელმძღვანელოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

6. ამ თავით გათვალისწინებული დავების განხილვის სამსახურის სტრუქტურა და შემადგენლობა, მის მიერ საქმიანობის განხორციელების წესები და პროცედურები (მათ შორის, საჩივრის განხილვის პროცედურები), აგრეთვე საპენსიო შენატანისა და მიუღებელი სარგებლის განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) წესები განისაზღვრება ამ კანონითა და დავების განხილვის სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მმართველობითი საბჭო. ამასთანავე, დავების განხილვის

სამსახურის დებულებით შეიძლება განისაზღვროს მონაწილეთა სხვა პრეტენზიების განხილვის წესები და პროცედურები.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

[მუხლი 37[9]. განუხორციელებელი საპენსიო შენატანისა და მიუღებელი სარგებლის განაწილვადება (ეტაპობრივი გადახდა)

1. დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია დამსაქმებლის განცხადების საფუძველზე განიხილოს მის მიერ განუხორციელებელი საპენსიო შენატანისა და მასზე დარიცხული მონაწილის მიუღებელი სარგებლის განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) საკითხი.

2. დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია დავების განხილვის სამსახურის დებულებით გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი ვადით დამსაქმებელთან დადოს განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) შესახებ შეთანხმება საპენსიო ფონდის გადაწყვეტილებით განსაზღვრული საპენსიო შენატანის განხორციელებისა და მონაწილის მიუღებელი სარგებლის (მისი არსებობის შემთხვევაში) გადახდის თაობაზე.

3. დავების განხილვის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული ფარგლების გარეთ (ზემოთ) განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) შესახებ შეთანხმების დადების უფლებამოსილება აქვს მმართველობით საბჭოს.

4. დამსაქმებელთან განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) შესახებ შეთანხმება ერთი და იმავე საპენსიო შენატანის/სარგებლის ოდენობაზე შეიძლება დაიდოს მხოლოდ ერთხელ. ამ პერიოდში შესაბამისი აქტის აღსრულება შეჩერებულია.

5. დამსაქმებლის მიერ განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) შესახებ შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში საპენსიო ფონდის შესაბამისი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 ივნისიდან)]***

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[10]. საჩივრის წარდგენის ვადა და ფორმა

1. დავების განხილვის სამსახური წარმოებაში იღებს დამსაქმებლის, დასაქმებულის, მონაწილის, პენსიის მიმღების, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ წარდგენილ, მხოლოდ ამ კანონის 37[8] მუხლით გათვალისწინებულ საჩივარს საპენსიო ფონდის შესაბამისი გადაწყვეტილების თაობაზე. ამ თავით გათვალისწინებული საჩივრის წარდგენის ვადაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მათ შორის, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის) ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღე.

2. საჩივარი დავების განხილვის სამსახურს შეიძლება წარედგინოს წერილობით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით). საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენა არ გამორიცხავს დავების განხილვის სამსახურის უფლებამოსილებას, განმცხადებელს მოსთხოვოს მატერიალური დოკუმენტაციის წარდგენა. საჩივრის ფორმა და მისი წარდგენის წესი, აგრეთვე სხვა წარსადგენი დოკუმენტები/ინფორმაცია განისაზღვრება დავების განხილვის სამსახურის დებულებით.

3. ამ კანონის 37[4] მუხლით გათვალისწინებული საპენსიო ფონდის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მონაწილის მიუღებელი სარგებლის დარიცხვას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საჩივრის წარდგენა დასაშვებია, თუ:

ა) ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო ან საჩივრის წარმდგენისგან დამოუკიდებელი, ობიექტური მიზეზით (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით);

ბ) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომლებიც საჩივრის

წარმდგენმა საპენსიო ფონდის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა და რომელთა შესახებ ინფორმაციის დროულად წარდგენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

5. დავების განხილვის სამსახურში საჩივრის წარდგენა აჩერებს სადავო აქტის/გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[11]. საჩივრის წარმოებაში მიღება

1. დავების განხილვის სამსახური საჩივარს წარმოებაში მიიღებს, თუ საჩივარი და მისთვის დართული დოკუმენტაცია/ინფორმაცია აკმაყოფილებს ამ თავითა და დავების განხილვის სამსახურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დავების განხილვის სამსახური საჩივართან დაკავშირებით ხარვეზს დაადგენს:

ა) თუ საჩივარში მითითებული არ არის საჩივრის წარმდგენის სახელი/სახელწოდება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო მონაცემი;

ბ) თუ საჩივარში მითითებული არ არის საჩივრის წარმდგენის საკონტაქტო მონაცემები (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირის ფაქტობრივი მისამართი);

გ) თუ საჩივრიდან ვერ ირკვევა მოთხოვნის შინაარსი და ვერ ხდება სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება;

დ) თუ საჩივარს არ ერთვის სადავო გადაწყვეტილება;

ე) თუ საჩივარი ხელმოწერილი არ არის ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული არ არის;

ვ) თუ საჩივარი არაუფლებამოსილმა პირმა ან წარმომადგენელმა წარადგინა და მას არ ერთვის სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა/წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოჩენისას დავების განხილვის სამსახური საჩივრის წარმდგენს ელექტრონულ შეტყობინებას უგზავნის და ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს საჩივრის ჩაბარებიდან არანაკლებ 5 სამუშაო დღის ვადას. საჩივრის წარმდგენის დასაბუთებული თხოვნით ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად, არაუმეტეს 10 სამუშაო დღით გაგრძელდეს.

4. თუ ხარვეზი არსებითად არ უშლის ხელს საქმის გარემოებების გამოკვლევას, დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია საჩივარი წარმოებაში მიიღოს, მიუხედავად ხარვეზის არსებობისა.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[12]. საჩივრის განხილვაზე უარის თქმა ან მისი წარმოების შეწყვეტა

1. დავების განხილვის სამსახური საჩივარს არ განიხილავს:

ა) თუ საჩივარში დასმული საკითხი სცილდება დავების განხილვის სამსახურის კომპეტენციას;

ბ) თუ საჩივარი განმეორებით წარადგინა არაუფლებამოსილმა პირმა;

გ) თუ გავიდა საჩივრის წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადა და არ არსებობს მისი აღდგენის

საფუძვლები;

დ) თუ საჩივრის წარმდგენმა დავების განხილვის სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გამოასწორა შესაბამისი ხარვეზი;

ე) თუ არსებობს იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე დავების განხილვის სამსახურის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

2. დავების განხილვის სამსახური საჩივრის განხილვას შეწყვეტს:

ა) თუ საჩივრის წარმდგენმა წერილობით განაცხადა უარი საჩივარზე (საქმის განხილვაზე);

ბ) თუ დავის საგანი არ არსებობს;

გ) თუ საჩივრის წარმდგენი ფიზიკური პირი გარდაიცვალა ან საჩივრის წარმდგენი იურიდიული პირი ლიკვიდირებულ იქნა და სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უფლებამონაცვლეობას არ უშვებს;

დ) თუ არსებობს ამ თავით გათვალისწინებული შეთანხმება განაწილვადების (ეტაპობრივი გადახდის) შესახებ;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[13]. საჩივრის განხილვა

1. დავების განხილვის სამსახური საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში, მხოლოდ საჩივრით გათვალისწინებული მოთხოვნის ფარგლებში. დავების განხილვის სამსახური უფლებამოსილია საჩივრის შინაარსისა და სპეციფიკის, აგრეთვე დავის მსვლელობისა და მოსაკვლევი საკითხის გათვალისწინებით მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება და ეს ვადა დამატებით არაუმეტეს 3 თვით გააგრძელოს. დავების განხილვის სამსახური აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ ატყობინებს შესაბამის მხარეს.

2. დავების განხილვის სამსახური საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენით. შესაბამის მხარეს უფლება აქვს, სხდომას დაესწროს დისტანციურად, ტექნიკური საშუალების გამოყენებით (ვიდეოკონფერენცია).

3. საჩივრის წარმდგენისთვის სათანადო შეტყობინების გაგზავნის მიუხედავად, მისი სხდომაზე გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას.

4. დავების განხილვის სამსახურის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევა ნიშნავს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ეს უარი ამ თავით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ვადის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება მისი საჩივრის წარმდგენისთვის ჩაბარებიდან.

5. საჩივრის წარმდგენთან დავების განხილვის სამსახურის კომუნიკაციის წესი დგინდება ამ თავითა და დავების განხილვის სამსახურის დებულებით.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[14]. დავების განხილვის სამსახურის გადაწყვეტილება

1. დავების განხილვის სამსახური იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის, მისი განუხილველად დატოვების, საჩივრის განხილვის შეწყვეტის შესახებ.

2. დავების განხილვის სამსახური გადაწყვეტილებას იღებს დავების განხილვის სამსახურის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების სახით.

3. დავების განხილვის სამსახურის შუალედური გადაწყვეტილება ცალკე არ საჩივრდება. იგი შეიძლება გასაჩივრდეს დავების განხილვის სამსახურის საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

მუხლი 37[15]. გადაწყვეტილების ჩაბარება და გასაჩივრება

1. დავების განხილვის სამსახურის გადაწყვეტილება საჩივრის წარმდგენს ეგზავნება ელექტრონულად ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ხოლო ამგვარად გაგზავნის შეუძლებლობის შემთხვევაში – ფოსტით. საჩივრის წარმდგენის წერილობითი მოთხოვნით ეს გადაწყვეტილება მას შეიძლება გადაეცეს როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

2. დავების განხილვის სამსახურის გადაწყვეტილება ჩაბარებულად მიიჩნევა მისი გაცნობის დღიდან. თუ ამ გადაწყვეტილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით გაგზავნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ან ფოსტით ზედიზედ ორჯერ გაგზავნის შემთხვევაში საჩივრის წარმდგენი ვერ გაეცნო მას, გადაწყვეტილება საპენსიო ფონდის მიერ დადგენილი წესით ქვეყნდება საჯაროდ, საპენსიო ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩაბარებულად ითვლება მისი აღნიშნულ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-10 კალენდარულ დღეს.

3. საჩივრის წარმდგენს უფლება აქვს, დავების განხილვის სამსახურის გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს საერთო სასამართლოში.

4. დავების განხილვის სამსახურის ძალაში შესული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა.

საქართველოს 2026 წლის 16 სექტემბრის კანონი №1861/1 – ვებგვერდი, 17.09.2026წ.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 38. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს მთავრობამ 2018 წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცება.

2. სამეთვალყურეო საბჭომ 2018 წლის 15 სექტემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა.

3. ეროვნულმა ბანკმა 2018 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღება.

4. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საპენსიო სააგენტომ 2018 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღება.

5. საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე სამეთვალყურეო საბჭო უფლებაუნარიანია 3 წევრის შემადგენლობით.

6. სამეთვალყურეო საბჭოს პირველ თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მთავრობა.

7. საპენსიო ფონდის მართვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს საპენსიო აქტივების 0,50 პროცენტს.

8. საქართველოს პარლამენტი ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საინვესტიციო საბჭოს პირველი შემადგენლობის 2 წევრს აირჩევს 3 წლის ვადით.

9. ამ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში.

9[1]. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საპენსიო სააგენტომ 2024 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელის ამ კანონის 27-ე მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობა, აგრეთვე დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის ამ კანონის 27-ე მუხლის მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობა.

10. ამ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში ამ კანონის 27-ე მუხლის 21-ე პუნქტში მითითებულ ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში (გარდა ფულადი სახსრებისა და საბანკო დეპოზიტებისა) საპენსიო აქტივების ინვესტირების ლიმიტია 15 პროცენტი.

11. შესარჩევი კომისიის საქმიანობა პირველ წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

12. ამ კანონის ამოქმედებიდან 9 თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს მთავრობას წარუდგინოს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნება.

13. საქართველოს მთავრობამ განსაზღვროს ამ კანონით განსაზღვრული, დაგროვებითი საპენსიო სქემით გათვალისწინებული, სახელმწიფოს მიერ ამ სქემაში შესატანი დაფინანსების, აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა შემთხვევაში დამსაქმებლის მიერ შესატანი თანადაფინანსების ნაწილში 2019 წელს შესასრულებელი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის წესი.

14. საპენსიო სააგენტომ ამ კანონის 7[1] მუხლის ამოქმედებამდე უზრუნველყოს ამ კანონის 7[1] მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის შემუშავება და დამტკიცება.

15. პირს, რომელმაც 2025 წლის 1 მაისამდე დაარღვია ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება, მათ შორის, დაარღვია ვადა, თუმცა სრულად შეასრულებს ამ ვალდებულებას არაუგვიანეს საპენსიო სააგენტოს მიერ მისი შემოწმების დაწყებისა, არ დაეკისრება ჯარიმა ამ კანონის შესაბამისად.

16. პირს, რომელმაც 2025 წლის 1 მაისამდე დაარღვია ამ კანონით გათვალისწინებული საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულება, მათ შორის, დაარღვია ვადა, თუმცა სრულად შეასრულებს ამ ვალდებულებას არაუგვიანეს საპენსიო ფონდის მიერ მისი შემოწმების დაწყებისა, არ დაეკისრება ჯარიმა ამ კანონის შესაბამისად.

17. 2025 წლის 1 მაისამდე პერიოდისთვის დასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრებულად ჩაითვლება მისი დამსაქმებლის მიერ ყველაზე ძველი თარიღით განხორციელებული საპენსიო შენატანიდან, ხოლო რამდენიმე დამსაქმებლის არსებობის შემთხვევაში დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრების თარიღი განისაზღვრება თითოეულ დამსაქმებელთან მიმართებით, შესაბამისი დამსაქმებლის მიერ ყველაზე ძველი თარიღით განხორციელებული საპენსიო შენატანიდან. თუ რომელიმე დამსაქმებელმა არ განახორციელა საპენსიო შენატანი, ამ დამსაქმებლისთვის საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების წარმოშობის თარიღი არის შესაბამისი დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელების პერიოდი.

18. 2025 წლის 1 მაისამდე დაუშვებელია იმ საპენსიო აქტივების ჭრილში, რომლებსაც საპენსიო სააგენტო მართავს:

ა) ერთი ემიტენტის მიმოქცევაში არსებული საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტების

ჯამურად 20 პროცენტზე მეტის ფლობა ან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად არაუმეტეს 30 პროცენტზე მეტის ფლობა;

ბ) ამ კანონის 27-ე მუხლის მე-16 პუნქტის „დ[2]“ ქვეპუნქტითა და მე-17 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ტრანზაქციების ფარგლებში 20 პროცენტზე მეტი თანამონაწილეობა.

19. თუ 2025 წლის 1 მაისამდე საინვესტიციო პორტფელი სცდება ამ კანონის 27-ე მუხლით განსაზღვრულ ლიმიტებს/მოთხოვნებს და ეს შეუსაბამობა გამოწვეული არ არის ახალი საინვესტიციო გადაწყვეტილებით, საპენსიო სააგენტო ვალდებულია 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს საინვესტიციო პორტფელის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

20. 2025 წლის 1 მაისამდე საპენსიო სააგენტო იმ პირებს, მათ შორის, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეებს, რომლებმაც 2024 წლის 30 სექტემბრამდე კანონით დადგენილი წესით სრულად მიიღეს პენსია/საპენსიო აქტივები, არ მოსთხოვს საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების შედეგად მათთვის შეცდომით/ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას.

საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3601 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.
საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4312 – ვებგვერდი, 12.07.2024წ.

მუხლი 39. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-7, 21-ე და 29-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-7 და 21-ე მუხლები ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის 29-ე მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

21 ივლისი 2018 წ.

N3303-რს